პროლეტარიელნო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 19 ნოემბერი, 1944 წ. № 233 (7186). ფასი 20 კაპ.

ყველასათვის ცნობილია, რომ საბჭოთა არტილერიამ მიაღწია ბრძოლის ველზე სრულ ბატონობას მტრის არტილერიაზე, რომ მტრის წინააღმდეგ მრავალ ბრძოლაში საბჭოთა არტილერისტებმა და ნაღმმტყორცნელებმა განსაკუთრებული მამაცობისა და გმირობის უჭკნობი სახელი მოიხვეჭეს, ხოლო მეთაურებმა და უფროსებმა გვიჩვენეს ცეცხლის მართვის მაღალი ოსტატობა.

ი. სტალინი

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა

1944 წ. 19 ნოემბერი № 225 მოსკოვი, კრემლი

ამხანაგებო, საბჭოთა არტილერიის არტილერისტებო და ნაღმმტყორცნელებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო, ოფიცრებო და გენერლებო!

დღეს საბჭოთა ადამიანები დღესასწაულობენ წითელი არმიის არტილერიის დღეს.

დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს არტილერიის, როგორც წითელი არმიის მთავარი დარტყმითი ძალის უდიდეს მნიშვნელობას.

როგორც ცნობილია, არტილერია იყო ის ძალა, რომელიც დაეხმარა წითელ არმიას შეეჩერებინა მტრის წინსვლა ლენინგრადისა და მოსკოვის მისადგომებთან.

არტილერია იყო ის ძალა, რომელმაც უზრუნველჰყო წითელი არმიის მიერ გერმანელთა ჯარების განადგურება სტალინგრადთან და ვორონეჟთან, კურსკთან და ბელგოროდთან, ხარკოვთან და კიევთან, ვიტებსკთან და ბობრუისკთან, ლენინგრადთან და მინსკთან, იასისთან და კიშინიოვთან.

თავისი გამანადგურებელი ცეცხლით არტილერია წარმატებით უკაფავდა გზას ქვეით ჯარსა და ტანკებს სამამულო ომის უდიდეს ბრძოლებში, რის შედეგადაც მტერი განდევნილ იქნა ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან.

ახლა მთელ წითელ არმიასთან ერთად საბჭოთა არტილერია გამანადგურებლად ურტყამს მტრის ცოცხალ ძალას, ტექნიკასა და სიმაგრეებს უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლებში გერმანიაზე გამარჯვებისათვის.

ყველასათვის ცნობილია, რომ საბჭოთა არტილერიამ მიაღწია ბრძოლის ველზე სრულ ბატონობას მტრის არტილერიაზე, რომ მტრის წინააღმდეგ მრავალ ბრძოლაში საბჭოთა არტილერისტებმა და ნაღმმტყორცნელებმა განსაკუთრებული მამაცობისა და გმირობის უჭკნობი სახელი მოიხვეჭეს, ხოლო მეთაურებმა და უფროსებმა გვიჩვენეს ცეცხლის მართვის მაღალი ოსტატობა.

ეს ისეთი წარმატებაა, რომლითაც ჩვენს ქვეყანას კანონიერად შეუძლია იამაყოს.

ამხანაგებო, საბჭოთა არტილერიის არტილერისტებო და ნაღმმტყორცნელებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო, ოფიცრებო და გენერლებო! მოგიდოცავთ არტილერიის დღეს!

სამამულო ომში წითელი არმიის არტილერიის გადამწყვეტ წარმატებათა აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 19 ნოემბერს, არტილერიის დღეს, 19 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში და ქალაქებში — ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლში, ოდესაში, ხაბაროვსკში, ნოვოსიბირსკში, სვერდლოვსკში, გორკში, მოლოტოვსა და ტულაში სამშობლოს სახელით საუტი მიეცეს ჩვენს სახელოვან არტილერისტებს ოცი საარტილერიო ზალპით.

იცოცხლოს და იდღეგრძელოს საბჭოთა არტილერიამ ჩვენი სამშობლოს მტრების თავზარდასაცემად!

უმაღლესი მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

საბჭოთა ინფორმაციო ბიუროსაგან
18 ნოემბრის ოპერაციული ცნობა

18 ნოემბრის განმავლობაში უნგრეთში ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის **ბერნად-ნასყეტი, შაიო-ლადი, ქიშ-ტოკაი, ნოვპაი, ანდორნაკი, კერეჩენდი, კაპოლპა, დეტკი, ხორტი, ტურა, ვალკო** და **რკინიგზის სადგურები კიულშე-ბეჩი, კალი, ლუდაში, ხორტი.**

ფრონტის სხვა უბნებზე ცვლილება არ მომხდარა.

17 ნოემბერს საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 19 თვითმფრინავი.

* * *

უნგრეთში ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. მოწინააღმდეგემ ბრძოლაში გამოიყვანა გერმანელთა 1-ლი სატანკო დივიზია და მთელი რიგ კონტრიერიშებზე გადმოვიდა. ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა ყველა კონტრიერიშები. საბჭოთა ნაწილებმა წინ წაიწიეს, განდევნეს გერმანელები დასახლებულ პუნქტ ხორტიდან და გადაკვეთეს გზატკეცილი, რომელსაც მოწინააღმდეგისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 800-ზე მეტი გვამი. გერმანელებს წაეართვათ 3 თვითმავალი და 22 საველე ქვემეხი, 18 ნაღმსატყორცნი და ოცი სამხედრო ტვირთთანად. რკინიგზის სადგურ მენდეს რაიონში მოწინააღმდეგის ჯავშნიანმა მატარებელმა გადმოსხა დესანტი 500 მეავტომატის რაოდენობით. ნ ნაწილის მებრძოლები გარს შემოერტყნენ დესანტს და ყველა გერმანელი მეავტომატე მოსპეს.

* * *

ქალაქ იელგავის (ძიტაყის) სამხრეთ-დასავლეთით ნ გვარდიული ნაწილის რაზმმა ბრძოლით დაზკერვა მოაწყო. გვარდიელებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის საბრძოლო ღაცვა და სწრაფად შეიჭრნენ გერმანელთა თავდაცვის დააყრდენ ჰეჩქტში. გაფთრებული შეტაკების შემდეგ ჩვენმა მზვერავებმა დიკავეს დააყრდენი პუნქტი და იქ გამაგრდნენ. მოსპობილია ერთ ასეულზე მეტი ჰიტლერელი. წამოღებულია ღაკლი და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ალმოსავლეთ პრუსიაში ერთ უბანზე ოფიცერ ალენინის ქვეგანაყოფის გვარდიელები ღამით ფარულად მიუახლოვდნენ ორ სახლს, რომლებშიც გერმანელებს საცეცხლე წერტილი მოეწყოთ. ჩვენმა მებრძოლებმა სწრაფად მიიტანეს იერიში მოწინააღმდეგზე. ჰიტლერელები, რომლებმაც წინააღმდეკობა გასწიეს, მოსპობილ იქნენ. გვარდიელებმა ააფეთქეს მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილები და უდანაკლისოდ დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

ქალაქ ავგუსტოვის აღმოსავლეთ-დასავლეთით მზვერავთა ჯგუფი უმცროს ლეიტენანტ ვინოგრადოვის მეთაურობით ღამით თავს დაესხა მტრის საგუშაგოებს. 20-ზე მეტი ჰიტლერელი მოსპობილ იქნა ხელჩართულ შეტაკებაში, ხოლო დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს. სხვა უბანზე ნ შენაერთის არტილერისტებმა ცეცხლითა თავდასხმა მოაბრძანეს მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა კიდეზე. მოსპობილია 3 ქვემეხი, დანგრეულია ბლინდაჟი, გაფანტული და ნაწილობრივ მოსპობილია გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ჰიტლერელები ცდილობენ შეაკავონ: ია უდიდესი ზარალი, რაც გერმანიის არმიას საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მოსდია. გერმანელთა სარდლობა ახდენს 16-დან 60 წლამდე ასაკის ყველა მამაკაცის, ინვალიდებისა და ხეიბრების მობილიზაციას, რომლებიც ყველა წინანდელი მობილიზაციის დროს ცნობილი იყვნენ სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად. ტყვეების ჩვენებიდან სჩანს, რომ უკანასკნელ ხანს გერმანელთა სამხედრო ხელისუფალნი ახდენენ ზოგიერთი საავიაციო და საზენიტო ნაწილის ლიკვიდაციას, მათ პირად შემადგენლობას კი ქვეითს ჯარში გზავნიან. ტყვედ წამოყვანილმა სს სატანკო დივიზია „მკედარი თავის“ „ეიკეს“ პოლკის მე-11 ასეულის როტენფიუერერმა რეინგოლდ ზონტაგმა განაცხადა: „მე ავიაციის ტექნიკოსი ვარ. უკანასკნელ ხანს ვმსახურობდი 30-ე ბომბდამშენ ესკადრილიაში, ბელგიაში. სექტემბერში ესკადრა დაშალეს. მე 150 კაცისაგან შემდგარ ჯგუფთან ერთად გამგზავნეს ქალაქ ფრაიშტადტში.

აქ ყოველდღე მოპყავდათ ჯარისკაცები დაბერული საავიაციო სკოლებიდან, დაშლილი საჰაერო ესკადრებიდან, აეროდრომებიდა მომსახურე რაზმებიდან და საზენიტო ნაწილებიდან. ამჟამად „ეიკეს“ პოლკის ქვეგანაყოფების სამი მეთხუთე დაკომპლექტებულია იმ ჯარისკაცებით, რომლებიც წინათ ავიაციაში მაახურობდნენ“.

ტყვედ წამოყვანილმა სს სატანკო დივიზია „ვიკინგის“ ჯარისკაცმა ერნსტ შ...ერმა განაცხადა: „ამ დღეებში ჩვენს დივიზიას შემოუერთეს 1.800 კაცი სამხედრო-საჰაერო ძალების სხვადასხვა ნაწილებიდან“.

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 24-ე ქვეითი დივიზიის 102-ე პოლკის მე-5 ასეულის ოპერ-ეფრეიტორმა არტურ ნაუმანმა განაცხადა: „მე ვმსახურობდი სანაპირო ბატარიაში კუნძულ ზეელანდზე, დანიაში. სრულიად მოულოდნელად გამომგზავნეს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. ჩემთან ერთად მოდიოდა 400-ზე მეტი მატროსი, რომლებიც აქამდე გერმანელთა ხომალდებზე მსახურობდნენ დანიაში. მატროსები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ მათ ქვეითს ჯარში გზავნიდნენ. ხშირად გაისმოდა ჰიტლერის წინააღმდეგ მიმართული ბრაზმორეული შეძახილები“.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წითელი არმიის არტილერიის მარშლებისა და გენერლების სუვოროვის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბრძოლო ოპერაციების მარჯვედ და მამაცურად ხელმძღვანელობისათვის და მოქმედი არმიის საარტილერიო საქურვლითა და სარმარი მასალებით უზრუნველყოფის დარგში უმაღლესი მთავარი სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნან:

სუვოროვის I ხარისხის ორდენით

1. არტილერიის მთავარი მარშალი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე **ვორონოვი**
2. არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკი ვასილ ივანეს-ძე **კაზაკოვი**
3. გენერალ-პოლკოვნიკი ნიკოლოზ მიხეილის-ძე **ხლებნიკოვი**
4. არტილერიის მარშალი მიხეილ ნიკოლოზის-ძე **ჩისტიაკოვი**
5. არტილერიის მარშალი ნიკოლოზ დიმიტრის-ძე **იაკოვლევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოროკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 18 ნოემბერი.

საბჭოთა არტილერიის დღესასწაული

დღეს ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ოცდაექვს ქალაქში ორასოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით აღნიშნავენ მძლავრი საბჭოთა არტილერიის დღესასწაულს.

„არტილერიის დღეს“ 19 ნოემბერს წელს პირველად იზეიმებს ჩვენი ქვეყანა. ეს დღე მოგვაგონებს ჩვენი სახელოვანი არტილერიის, გმირი არტილერისტების მიერ განვლილ უმაგალითო გზას სამამულო ომის დაწყებიდან დღემდე, და განსაკუთრებით სტალინის ქალაქის ეპოპეას, მის დევგმირულ შემართებას 1942 წლის 19 ნოემბერს, როცა ათასობით ქვემეხის გრიალმა მსოფლიოს აცნობა ძლევამოსილი შეტევის დაწყება. ამ ლეგენდარულ შეტევას შედეგად მოჰყვა გერმანელთა რჩეული 22 დივიზიის განადგურება. იგი შემობრუნების პუნქტი გახდა ომის მსვლელობაში. მას შემდეგ ინიციატივა წითელ არმიას ხელიდან აღარ გაუშვია.

„არტილერია ომის ღმერთია“,—გვასწავლის დიდი **სტალინი.** საბჭოთა არტილერია, რომელიც სოციალისტური მძიმე ინდუსტრიის ბაზაზე არნახულად განვითარდა სტალინური ხუთწლედების განმავლობაში, საბჭოთა ხალხის პირმშო და მისი ძლიერების ერთ-ერთი საუკეთესო გამომხატველია. წითელი არმიის არტილერია შეჰქმნა და გამოსუფდა ამხანაგმა **სტალინმა.** ამ არტილერიის უმაგალითო ცეცხლის ძალა გერმანელმა ფაშისტებმა გამოსცადეს ომის პირველსავე დღეებში. მძიმე თავდაცვითი ბრძოლების დროს ჩვენი არტილერია ჰიტლერელებს გზას უღობავდა, სპობდა მათს ტექნიკასა და ცოცხალ ძალას. ჯერ კიდევ სევასტოპოლის გმირული დაცვის ისტორიულ დღეებში გერმანელები იძულებული გახდნენ ეღიარებინათ, რომ „მოწინააღმდეგის ამ ჯოჯოხეთური საარტილერიო ცეცხლის ქვეშ შეტევის კვლავ განგრძობა შეუძლებელიაო“. ეს ცეცხლი სპობდა ჰიტლერელ ავაზაკებს და მათ ტექნიკას ლენინგრადთან, ოდესასთან, კიევთან. ამ ცეცხლით განადგურდა მტერი მოსკოვის მისადგომებთან.

სამამულო ომის მთელ მანძილზე საბჭოთა არტილერიამ მსოფლიო გააოცა. იგი არა თუ ჩამორჩება ჩვენი მტრების არტილერიას, არამედ ბევრ რამეში მას კიდევაც სჯობნის.

სტალინგრადის რაიონში საბჭოთა არტილერიის ტრიუმფი გაგრძელდა კურსკთან ისტორიულ ბრძოლებშიც. მტერმა აქ გამოიყვანა ახალი სისტემის მძლავრი ტანკები—„ტ-VI“ და თვითმავალი ქვემეხები. მას ეგონა ფოლადის სქელ ჯავშანში ჩამჯდარ ამ მანქანებს საბჭოთა არტილერია ვერაფერს დააკლებდა. მაგრამ ჩვენმა საარტილერიო შენაერთებმა პირდაპირ დაფშვნეს გერმანელთა ყველა ეს „ვიფხვები“ და „ფერდინანდები“. ჯერი მიდგა 1944 წლის მარკის „სამეფო ვეფხვებზე“, რომლებსაც იგივე ბედი ეწიათ, რაც მათ წინამორბედებს.

საბჭოთა არტილერიის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მას აქვს შესანიშნავი მასალა, რასაც უხვად ამზადებენ ჩვენი ქარხნები.

საბჭოთა არტილერიის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მას ახასიათებს მაღალი ტაქტიკური და ოპერატიული, სწრაფი მანევრირება. მდინარეების დნეპრის, ბერეზინის, სერეტის, დნესტრის, ნარვის, ბუგის, ნემანის, ვისლის, ტისას და წყლის მთელი რიგი სხვა ზღუდეების გადალახვის დროს ჩვენი არტილერია უდიდესი მოქნილობით მუშაობდა, უაღრესად ეფექტურ დახმარებას უწევდა ქვეითს ჯარსა და წითელი არმიის დანარჩენ შენაერთებს.

საბჭოთა არტილერიის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მას შეტევაში ახასიათებს მასირებული, შეწყობილი ცეცხლი. ასე მოქმედებდა იგი პერეკოპთან, კარელიის ყელზე, ბალტიისპირეთსა და ბელორუსიაში. ასე მოქმედებს უნგრეთსა და კარპატებში — ყველგან წითელი არმიის ძლევამოსილი შეტევის გზაზე.

საბჭოთა არტილერიის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მას აქვს ცხენისა და მექანიზებული წევის საუკეთესო საშუალებები, სწრაფად შეუძლია დაჰფაროს დიდი მანძილი. ხანგრძლივ მარშებს კარგად იტანს მისი საუცხოო მატერიალური ნაწილი. ამ თვისებებმა ბრწყინვალედ გაუძლო კავკასიის მისადგომებთან ბრძოლის რთულ პირობებს, როცა მთებშიც ისევე კარგად ურტყამდა ჩვენი არტილერია, როგორც ბარში.

საბჭოთა არტილერიის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მას ჰყავს შესანიშნავი ადამიანები, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები, რომლებიც **ლენინ-სტალინის** დიდი საქმის უსაზღვროდ ერთგულნი არიან. საარტილერიო ჯარებში აღზარდნენ შესანიშნავი მებრძოლები, ოფიცრები და გენერლები, რომლებიც წარმატებით იყენებენ არტილერიის ცეცხლს ქვეით ჯართან, კავალერიასთან, ტანკებთან და ავიაციასთან თანამოქმედებით. ეს თანამოქმედება უდიდეს ეფექტს აღწევს და აუნაზღაურებელ ზარალს აყენებს მტერს.

სახელოვანი საბჭოთა არტილერისტების ოჯახს ეკუთვნოდა გენერალ-პოლკოვნიკი კ. ნ. ლესელიძე. ამავე ოჯახიდან გამოვიდა მისი ძმა, საბჭოთა კავშირის გმირი არტილერიის პოდპოლკოვნიკი ვიქტორ ნიკოლოზის-ძე ლესელიძე. არტილერისტმა ალექსი პირმისაშვილმა კავკასიისათვის ბრძოლებში საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება დაიმსახურა. დაუვიწყარია მამაცი არტილერისტების უმცროს სერჟანტ ა. სურგულაძის, საბჭოთა კავშირის გმირის ვლადიმერ ხარაზიას და სხვ. სახელები. ქართველი არტილერისტები, მოძმე საბჭოთა ხალხების შვილებთან ერთად გმირულად იბრძვიან სამამულო ომის ყველა ფრონტზე. უფროსმა სერჟანტმა გოზალაშვილმა სტალინგრადიდან აღმოსავლეთ პრუსიამდე ბრძოლით განვლო 2.500 კილომეტრი და თავისი ქვემეხით მოსპო მტრის 8 ტანკი.

სახელი და დიდება ამაც საბჭოთა არტილერისტებს! მათი სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერება სამამულო ომის გმირულ მატიანეში წითელი არმიის სხვა გამოჩენილ მეომრებთან ერთად.

საბჭოთა ხალხი სტალინური არტილერიის დღეს აღნიშნავს ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ ომის გადამწყვეტ ფაზაში, როცა ყოველი დღე გვიახლოებს ჩვენი გამარჯვების დროშის აფრიალებას ბერლინში!

მთელ წითელ არმიასთან ერთად ამ დიდ მისიას წარმატებით შეასრულებენ საბჭოთა არტილერისტები. ბერლინის ცას მალე გააპობს საბჭოთა არტილერიის გრგვინვა!

გაუმარჯოს საბჭოთა არტილერიის დღეს!

სახელი და დიდება მამაც საბჭოთა არტილერისტებს!

საქართველოს ერთიანი ბიბლიოთეკა

იცოცხლოს და იდღეგრძელოს საბჭოთა არმიამ!

მძლავრი საბჭოთა არმია

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში წითელი არმიის არტილერიის უდიდეს საბრძოლო დამსახურებათა აღსანიშნავად საბჭოთა მთავრობამ დააწესა „არტილერიის დღის“ — 19 ნოემბრის ყოველწლიური დღესასწაული. 1942 წლის 19 ნოემბრის სტალინგრადთან საბჭოთა ჯარებმა დაიწყეს შეტევა, რომელმაც გამოიწვია გერმანელთა 22 დივიზიის გარემოცვა და მოსპობა და რომელიც შემობრუნების პუნქტი გახდა მთელი სამამულო ომის მსვლელობაში. სტალინგრადის ბრძოლამ განსაკუთრებული სიცხადით გვიჩვენა საბჭოთა არტილერიის ძლიერება. საბჭოთა არტილერისტების სახელოვანი საბრძოლო საქმენი მთელი ჩვენი ქვეყნის აღტაცებასა და სიამაყეს იწვევენ, მათ მაღალ შეფასებას აძლევენ საზღვარგარეთ. მტრებიც იძულებული არიან აღიარონ გამანადგურებელი ძალა და ძლიერება ჩვენი არტილერიისა.

საბჭოთა არტილერია წარმოიშვა როგორც ძველი რუსული არტილერიის საბრძოლო დიდების კანონიერი მემკვიდრე და განმგრძობი. ამ დიდებას კი საუკუნეთა ისტორია აქვს. ისეთი შესანიშნავი მოვლენები, როგორიცაა პოლტავის ბრძოლა, პრუსიელთა განადგურება კუნერსდორფთან შვიდწლიან ომში, ბოროდინოს ბრძოლა, სევასტოპოლის გმირული დაცვა — განუყრელად არიან დაკავშირებულნი რუსი არტილერისტების ოსტატურ მოქმედებასთან. ფასდაუდებელია არტილერიის როლი სამოქალაქო ომის წლებში. ჩვენი არტილერია თუმცა რაოდენობით და საომარი მასალით უზრუნველყოფის მხრივ ჩამოუვარდებოდა მტრისას, მაგრამ იგი მძიმე დამარცხებას აყენებდა ინტერვენტებსა და თეთრგვარდიელებს. ამის მკაფიო მაგალითია ცარიცინის გმირული დაცვა.

საბჭოთა არტილერიის განვითარების მატერიალური ბაზა გახდა საბჭოთა კავშირის მძლავრი ინდუსტრია. სტალინური ხუთწლედების განმავლობაში საარტილერიო შეიარაღების, საომარი მასალის წარმოება დიდად განვითარდა, შეიქმნა საწარმოო სიმძლავრეთა უდიდესი მარაგი, რამაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ წარმოებული სამამულო ომის დღეებში. მასშტაბითა და დაძაბულობით უმაგალითო ბრძოლის პირობებში თავდაცვითი ქარხნების მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მშენებლებმა შრომითი გმირობის სასწაულები გვიჩვენეს. ყველა სისტემის საარტილერიო შეიარაღების გამოშვება და საომარი მასალის წარმოება განუხრელად მატულობდა და სავსებით აკმაყოფილებდა ფრონტის კოლოსალურ მოთხოვნილებას.

პარტიისა და პირადად ამხანაგ სტალინის დაუღალავი მზრუნველობის მეოხებით მომზადებულ იქნენ მაღალკვალიფიციურ კომსტრუქტორთა კადრები, სოციალისტური შრომის გმირების ამხანაგების გრაბინის, პეტროვის, ივანოვის და მრისხანე საბჭოთა ქვემეხების სხვა შემქმნელთა სახელებს ფართოდ იცნობს მთელი ჩვენი ქვეყანა. ამხანაგი სტალინი ყოველდღიურად იდევნებს თვალს საარტილერიო აზრის განვითარებას, უკარნახებს კონსტრუქტორებს ახალ ტექნიკურ იდეებს, პირადად იდევნებს თვალყურს ყოველი ახალი საარტილერიო სისტემის წარმოშობას. ყოველივე ამან ის გამოიწვია, რომ საბჭოთა არტილერიის მატერიალური ნაწილი უკვე დიდი ხანია არა თუ აღარ ჩამორჩება უცხოეთის საუკეთესო ნიმუშებს, არამედ კიდევაც სჯობნის მათ. შეუნელებელი ყურადღება ექცეოდა და ექცევა საარტილერიო კადრების, განსაკუთრებით ოფიცერთა შემადგენლობის მომზადებას.

წითელი არმიის შესანიშნავი წარმატებანი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში წარმოუდგენელი იქნებოდა სწორი ამბეხდრო დოქტრინის გარეშე, რაც განსაზღვრავს ჯარების სხვადასხვა გვარეობის, მათ შორის არტილერიის როლსა და ადგილს. ცნობილია, რომ ომის წინა წლებში ზოგიერთმა ეროვნულმა თეორეტიკოსმა გადამწყვეტ ძალად გამოაცხადა ავიაცია და ტანკები, ქვეითს ჯარს და არტილერიას კი ომში მეორეხარისხოვანი, დამხმარე როლი მიაკუთვნა. ამ გზით სიარულსას გერმანელმა ფაშისტებმა მთავარი გეზი თავიანთი ტანკებისა და ავიაციის ძლიერებაზე აიღეს. არტილერიის უგულებელყოფა ჰიტლერული უმაღლესი სარდლობის ერთ-ერთი საბედისწერო შეცდომა აღმოჩნდა.

საბჭოთა სამხედრო დოქტრინა თავისუფალია ასეთი შეცდომებისაგან. იგი ემყარებოდა თანამედროვე ომის სწორ დახასიათებას, რომელიც ამხანაგმა სტალინმა მოგვცა და ჯარების ყოველ გვარეობას სათანადო ადგილს მიუჩნევდა. რაც შეეხება არტილერიას, საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმამდე გაცილებით ადრე, მისი მნიშვნელობა განმარტებული იყო ამხანაგ სტალინის სიტყვებით: „არტილერია ომის ღმერთია“.

არტილერიის გამოყენება ამჟამად უაღრესად ფართო და მრავალმხრივია. არ არის ბრძოლის არც ერთი სახეობა, რომელიც არტილერიის ცეცხლის გარეშე ხდებოდეს, არ არის არც ერთი ოპერაცია, რომელშიც მონაწილეობას არ იღებდნენ საარტილერიო შეიარაღების დიდი მასები. ჩვენი არტილერია ორგანულად შედის მსროლელი, საკავალერიო და სატანკო შენაერთების შემადგენლობაში. იგი ეხმარება მათ თავდაცვაში და გზას უკაფავს შეტევაში. მისი მტკიცე თანამოქმედება ჯარების სხვა გვარეობასთან თანამედროვე ომში წარმატების მოპოვების საფუძველია. არტილერისტების საბრძოლო მეგობრობა ქვეითებსა და ცხენოსნებთან, ტანკისტებსა და მესანგრეებთან, როგორც წესი, დავალებათა წარმატებითს შესრულებას იწვევდა და იწვევს. არტილერია იყო და არის უაღრესად საომედო, უაღრესად გადამწყვეტი საშუალება ტანკებთან ბრძოლაში.

ჩვენმა არტილერიამ ღირსეულად გაუძღო უაღრესად მკაცრ გამოცდას ომის დასაწყის პერიოდში, როდესაც მტერს უდიდესი უპირატესობა ჰქონდა ზოგიერთი საკუთრივის მხრივ, მათ შორის ტანკების მხრივ. ომის ყველა უმნიშვნელოვანეს ეტაპზე გერმანიის არმიას მძიმე ზარალი მოსდიოდა ტანკების მხრივ. 1941 წლის შემოდგომაზე მოსკოვს უტევდა გერმანელთა 13 სატანკო დივიზია. წითელმა არმიამ 25 დღის დაძაბულ ბრძოლებში ფაშისტთა 1.500-ზე მეტი ტანკი მოსპო. სტალინგრადისათვის ბრძოლებში გერმანელებმა აგრეთვე ათასობით თავიანთი მანქანა დაჰკარგეს.

გაფთრებით ეძგერნენ ჩვენს პოზიციებს მტრის უდიდესი ჯავშანსატანკო ჯარები 1943 წლის ივლისში. როდესაც გერმანელებმა „გენერალური“ შეტევა დაიწყეს ორიოლისა და ბელგოროდის რაიონიდან. მასირებულ იერიშებში მონაწილეობდნენ „ვეფხვის“ მარკის ახალი მძიმე ტანკები და „ფერდინანდის“ მარკის თვითმავალი ქვემეხები. ეს საბრძოლო მანქანები მძლავრ იარაღს წარმოადგენდნენ, მაგრამ საბჭოთა არტილერია მათზე ძლიერი აღმოჩნდა. წითელი არმიის თავდაცვითი ბრძოლების განმავლობაში კურსკთან გერმანელებმა 2.900-ზე მეტი ტანკი დაჰკარგეს, მაგრამ წარმატება ვერ მოიპოვეს და მალე იძულებული გახდნენ თავდაცვაზე გადასულიყვნენ.

ომის სამი წლის განმავლობაში გერმანიის არმიამ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე 70 ათასამდე ტანკი დაჰკარგა. ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანელთა ბევრი სატანკო დივიზია რამდენჯერმე სავსებით იქნა მოსპობილი და ხელახლა დაკომპლექტებული. ამ კოლოსალური ზარალის უდიდესი ნაწილი მტერს ჩვენმა სახელოვანმა არტილერიამ მიაყენა.

გერმანელთა ტანკებთან ბრძოლაში საბჭოთა არტილერისტებმა გამოიჩინეს შესანიშნავი საბრძოლო თვისებანი: სიმტკიცე და უშიშრობა, მამაცობა და გულადობა, ცეცხლის უაღრესი სიზუსტე და უკანასკნელ უყმბარამდე ბრძოლის უნარი, ესე იგი, ისეთი თვისებანი, რომელთაც ყოველ დღე და დაუღალავად უნერგავდნენ არტილერისტებს წითელი არმიის პარტიული-ორგანიზაციები და ჩვენი ოფიცერთა შემადგენლობა.

საბჭოთა არტილერია წარმატებით ებრძვის ჰიტლერული არმიის არტილერიასაც. ჩვენი არტილერისტები იყენებენ ავიაციასა და დაზვერვას და ზუსტად არკვევენ მტრის ბატარეების ადგილმდებარეობას, შემდეგ კი უეცრად უშენენ მარჯვე ცეცხლს. ასეთ ორთაბრძოლაში გერმანელის არტილერიას, როგორც წესი, მძიმე ზარალი მოსდის და ან სრულიად სწყვეტს სროლას, ან მინიმუმამდე ამცირებს მას.

წითელი არმიის არტილერიის საბრძოლო გამოყენების საფუძველს წარმოადგენს მასირებული ცეცხლი, რომელიც ყოველი სახის ბრძოლაში ყველაზე უფრო ქმედითს შედეგს იძლევა. განსაკუთრებით დიდია მისი ეფექტიანობა შეტევითს ოპერაციებში მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული ზოლის გარღვევისას. 1942 წლის შემოდგომიდან წითელმა არმიამ მთელი რიგი შესანიშნავი შეტევითი ოპერაციები განახორციელა. ყველა ისინი იწყებოდნენ გამაგრებული ზოლების გარღვევით, რომელშიც გადამწყვეტი როლი ენიჭებოდა მასირებულ საარტილერიო ცეცხლს.

კლასიკურ ოპერაციას, სადაც სამამულო ომის განმავლობაში პირველად სავსებით გამოჩნდა მასირებული საარტილერიო ცეცხლის მნიშვნელობა, წარმოადგენს გერმანელების განადგურება სტალინგრადთან. გერმანელთა თავდაცვის გასარღვევად შექმნილი იყო საარტილერიო დაჯგუფება, როდესაც ერთ კილომეტრ ფრონტზე 300-მდე ქვემეხი მოდიოდა. შემდგომში ეს ნორმა ჩვეულებრივი გახდა წითელი არმიის თითქმის ყველა შეტევითს ოპერაციაში. 1942 წლის 19 ნოემბერს საბჭოთა არტილერიის მთელმა მასამ, რომელიც დაგროვებული იყო გერმანელთა დაჯგუფების ფლანგებზე, უმაგალითო ძალის ცეცხლი გაახალა. რამდენიმე საათის განმავლობაში მტრის ველზე მძვინვარებდა ცეცხლის გრიგალი. გერმანელთა ჯარები დემორალიზებული იყვნენ ფოლადის ნიაღვრით, რომელიც თავს დაატყდა მათ. ჰიტლერელებმა ბრძოლის პირველ დღეს მარტო არტილერიის ცეცხლით 9 ათასზე მეტი კაცი დაჰკარგეს მოკლულთა სახით. ამ დღეს დანგრეულ იქნა გერმანელთა 196 ბლინდაჟი, 126 ძელმიწური საცეცხლე წერტი, მოსპობილ და ჩახშობილ იქნა 100 საარტილერიო და 60 სანალმტყორცნო ბატარეა.

შემდეგ წითელი არმია ამსხვრევდა გერმანელთა თავდაცვას მიუსზე. ლენინგრადთან, კარელიის ყელზე, პრეკოპზე და სევასტოპოლთან, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთში და, ბოლოს, აღმოსავლეთ პრუსიაში. ყველა ოპერაციაში ავიაციის დარტყმასთან შეხამებული მასირებული საარტილერიო ცეცხლი საშუალებას გვაძლევდა მოწინააღმოვეგის ფრონტი შეტევის პირველსავე დღეებში გაგვეგრღვია. მტრის თავდაცვის გარღვევის შემდეგ არტილერიის როლი არა თუ მცირდება, არამედ კიდევ უფრო მატულობს. შეტევის განვითარების პერიოდში არტილერია ბრძოლას ეწევა მტრის განლაგების სიღრმეში, მიჰყვება თავის ქვეითს ჯარს და ახშობს ყველაფერს, რაც კი ხელს უშლის მის წინსვლას.

სამამულო ომის მსვლელობაში საბჭოთა არტილერიამ მიაღწია ზუსტ თანაშემქმედებას ტანკებთან. როდესაც ტანკები გარღვევდნენ იერიშიებს, მათ უსათუოდ თან ახლავს არტილერია. იგი სპობს მტრის ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებს, იგერიებს გერმანელთა ტანკების კონტრიერიშებს, გზას უკაფავს ჩვენს ტანკებს საოპერაციო სივრცეში გასასვლელად.

ზოგჯერ ჩვენი ტანკები 80-100 კილომეტრ ნახტომს აკეთებენ. არტილერია ამ შემთხვევებშიც კვალდაკვალ მიჰყვება მათ. იგი აღჭურვილია კარგი მექანიკური წევით. ეს უზრუნველყოფს მისთვის დიდ ტაქტიკურ და ოპერატიულ მოძრაობას. ბელორუსიაში წარმოებული ბრძოლების დროს, აგრეთვე იასი-კიშინიოვის ოპერაციაში საბჭოთა ტანკისტები არტილერიის დახმარებით გაბედულად გადიოდნენ მოწინააღმდეგის კომუნიკაციებზე, გზას უჭრიდნენ და გარს ერტყმოდნენ ჯარების დიდ დაჯგუფებს.

საბჭოთა არტილერიის საბრძოლო მოქმედება გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ წარმოებულ სამამულო ომში ფასდაუდებელია. მან უკვე შეიტანა თავისი უდიდესი წვლილი ჩვენი გამარჯვების საქმეში, დამპყრობთაგან ჩვენი სამშობლო მიწა-წყლის განთავისუფლების საქმეში. ამჟამად, ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან მტრის განდევნის შემდეგ, არტილერიამ წითელი არმიის ჯარების ყველა გვარეობასთან მჭიდრო ურთიერთობით უკანასკნელი, მომაკვდინებელი დარტყმა უნდა მიაყენოს ფაშისტ მხეცს მის ბუნაგში.

„არტილერიის დღე“ წითელი არმიის არტილერიის სახელოვან გამარჯვებათა საყოველთაო სახალხო მაღალი შეფასების ნიშანია. მთავრობის, პარტიისა და მთელი ჩვენი ქვეყნის მზრუნველობითი ყურადღება საბჭოთა არტილერისტებს აღაფრთოვანებს ახალი კიდევ უფრო საჩქაროვანი საგმირო საქმეებისათვის ჩვენი სამშობლოს სადიდებლად. უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ **სტალინის** მიერ ჩვენი მეომრების წინაშე დასმული ამოცანები ღირსეულად იქნება შესრულებული.

არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი
ი. პრიჩკო

საღუზი წითელი არმიის არტილერიის დღის აღსანიშნავად

წითელი არმიის არტილერიის დღის აღსანიშნავად 1944 წლის 19 ნოემბერს, 19 საათზე მოსკოვის დროით, მიცემული იქნება საარტილერიო სალუტი 20 ზალპით.

გიორგი ლეონიძე

დღეს ვადღეგრძელოთ...

დღეს ვადღეგრძელოთ სამშობლო
ბრძოლებში ხაჭირმაგარი,
რკინის ძირი იქვთ ქართლის მთებს,
ჩვენ გული გვიდგას მაგარი!
დიდება ხალხის უკვდავ სულს,
გადმოსულს საშვილიეროდ;
წინაპართ ანდერძს დიდება,
დიდება, ხალხო ძლიერო!
დიდება ლაშქარს მეომარს
მტერს რო მიჰყვება კარამდის,
დროშა და ხმალი ქართლისა
ძლევით ბრწყინავდეს მარადის!

შორდამარხულებს დიდება,
ჰყვაოდეს მათი საფლავი,
ომში გადასულ ვაჟკაცებს
სახელი დასადაფნავი!

თოვლეთში, ხორშაკიანში,
ლოგინად ქვიშის მგებელი,
გამოჭენებულ ცხენებზე
სიკვდილთან მიმგებებელი,
დამძგერებელი ვიც არი,
ყუმბარის ცეცხლში მავალი, —
ვის წმინდა სახელს გულდიდად
წარმოსთქვამს შთამომავალი!

ვინც სტალინგრადში იბრძოდა,
მოსკოვის კართან გვრგვინავდა,
იხსნა მინსკი და კიევი,
დგას ვარშავასთან რკინადა!
ელვარე სულით ვინც არი
ქვის უმტკიცარი მხედარი,
ვინც გულის ნებას ეწია
მრავალ ჭირგადამხედარი, —
ვინც მტრის ბუნაგში მიიწევს
ქვეყნის მშვიდობის მდომელი,
ვინც კარპატებში მიიბრძვის
კლდესავით შეუკრთომელი,

ვინც პრუსიაში ნაღმულ გზას
მიაღწევევს დაურიდებლად,
ვინც დუნაზე მტერს სდევნის, —
გამარჯვება და დიდება!

გულდაგულ წინადამკვრელი,
სამშობლოს ვინც თავს აკლავდა,
დიდ წინაპრებთან მხარდამხარ
ვინც ქართლზე გამოვარსკვლავდა!
დიდების ფრთებზე თვის კერას,
ვიც შორით დაუბრუნდება,
დროშების შარავანდედში
ქორშავარდნების გუნდებად, —

დიდება! დაფნა და ვარდი!
გმირთა დედებსაც დიდება!
მზემ შუქი დაჰკრა მათ ლეჩაქს,
მანდილზე გამობრწყინდება.

ბრძოლის ველისთვის ნამსახურს
სამშობლოს ძალას დიდება! —
გუთანს,
ჩარხს,
დაზგას,
ბარს,
კალამს,
მტევანს,
ხვავს,
ჯიქანს, — დიდება!
ქართლის დიდების მზეს ვაშა!
ხალხის ოცნების მჩენია;
კაცი მისებრი, ჩვენს მიწას
დღემდის არ გაუჩენია!
დღეს ვადღეგრძელოთ ბელადი
მისი უკვდავი დიდებით...
იცოცხლე,
სანამ სველია
მტკვრის სადინარი ზვირთებით!

სახელ ოვანი გზა

სამამულო ომის დაწყების ერთი თვის შემდეგ ჟურნალ „ოგონიოკში“ მოთავსებული იყო 2 სურათი წარწერით:

„ლეიტენანტი ე. ს. შოგირაძე, რომლის ბატარეამ პირდაპირი დამიზნებით გაანადგურა მტრის ექვსი ტანკი; უმცროსი სერჟანტი ი. ს. სურგულაძე — ლეიტენანტ შოგირაძის ბატარეის ქვემეხის მეთაური“.

ეს იყო დასავლეთის ფრონტზე, ბობრუისკის მიმართულებით.

რამდენიმე ხნის შემდეგ სურგულაძე ჩადგა ლენინის ქალაქის სახელოვან დამცველთა რიგებში. 1941 წლის ოქტომბერში გზათა „კრასნაია ზვეზდა“ სწერდა ლენინის ქალაქის დამცველთა საბრძოლო საქმეებზე.

ერთხელ მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა მდინარის ნაპირზე. მებრძოლთა ნაწილმა ზურგიდან მოუარა მტერს, მიუახლოდა მის ბლინდაჟებს და გრანატები დაუყარა. ბრძოლის ველზე გამოჩნდნენ მძლავრი საბჭოთა ტანკები. გერმანელები შედრკნენ, უკუიქცნენ, ხოლო ჩვენი მებრძოლები სპობდნენ მათ.

დღის მეორე ნახევარში მთელ რიგ უბნებზე ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა. ოცეულის მეთაური გოროდილოვი ხელის ტყვიამფრქვევით მარტო უმკლავდებოდა მტრის მოწოლილ დიდ ჯგუფს. კაპიტანმა აიზენკოვიჩმა თავისი ტანკით მტრის რამდენიმე ქვემეხი მოსპო. უმცროს სერჟანტ სურგულაძის ქვემეხთა გუნდმა პირდაპირი მოხვედრით გაანადგურა მტრის 10 ტანკი.

დიდმა ხანმა გაიარა მას შემდეგ. არტილერისტი სურგულაძე იბრძოდა კალინინის ოლქის განთავისუფლებისათვის, მისი ქვემეხები მესრს აღებდნენ მტერს მოძმე რესპუბლიკის ლატვიის ტერიტორიაზე. ამჟამად ის იბრძვის იქ ნაწილში, რომელმაც წელს ოქტომბერში სხვა ნაწილებთან ერთად გაათავისუფლა ქალაქი რიგა და დაიმსახურა უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ **სტალინის** მადლობა.

ალექსი სიმონის-ძე სურგულაძე დაიბადა 1919 წელს სოფელ ნიგოიოში (ლანჩხუთის რაიონი). რკინიგზის ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში იმუშავა თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში. 1939 წელს გაწვეულ იქნა წითელ არმიაში.

ნ. ივანიძე

ოთხი ორდენი

უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში კაპიტანმა შალვა ხატიაშვილმა თავი გამოიჩინა როგორც შესანიშნავმა არტილერისტმა. იგი თავისი ქვემეხების ცეცხლით მუდამ უნარიანად უჭერს მხარს ჩვენს ქვეითს ჯარს და მოწინააღმდეგის არ აძლევს საშუალებას გადაარჩინოს საომარი ტექნიკა და ცოცხალი ძალა.

ერთ-ერთ ბრძოლაში მტერმა ჩვენი ნაწილის წინააღმდეგ 15 ტანკი გამოუშვა. კაპიტან ხატიაშვილის არტილერისტები გერმანელებს მძლავრი ცეცხლით შეხვდნენ. ბრძოლამ ექვს საათს გასტანა. ზედიზედ მოგერიებულ იქნა მტრის იერიშები. ბოლოს გერმანელებმა გამოიყენეს თვითმფრინავები. ნმიმე მომენტი დადგა არტილერისტებისათვის. ავიაციის ცეცხლის საფარ ქვეშ გერმანელთა ტანკები მიუახლოვდნენ ჩვენი არტილერისტების საცეცხლე პოზიციებს, თან ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლს უშენდნენ მათ.

კაპიტანი ხატიაშვილი თვითონ დადგა ქვემეხთან. მეთაურის მაგალითით აღფრთოვანებულმა არტილერისტებმა მარჯვე ცეცხლით გაანადგურეს ფაშისტთა 10 ტანკი და ასამდე ჰიტლერელი. მტრის კონტრიერიში მოგერიებულ იქნა.

ამ ბრძოლისათვის კაპიტანი ხატიაშვილი ალექსანდრე ნევსკის ორდენით დააჯილდოვეს.

ოთხი ორდენით დააჯილდოვა სამშობლომ კაპიტანი ხატიაშვილი **თავდადებული ბრძოლისათვის.**

კაპიტანი წ. ციბაშუა
მოქმედი არმია.



მოქმედი არმია. ქვემეხი სროლის წინ. (საკადრის ფოტოქრონიკა).

მებრძოლი ლეონიძე

ცეცხლის ოსტატები

სამამულო ომის პირველი დღიდანვე ბრძოლის ველზეა მაიორი ალექსანდრე ამბერკის-ძე ხარატიშვილი.

— რა მწვავე დღეები იყო! — იგონებს ხოლმე იგი, — მხარში დავიჭერი. ერთი ამ ხანაგი შემრჩა, მალე ისიც მომიკლეს. სისხლისგან ვიცლებოდი. როგორღაც ძალნე მოვახერხე და გამოვედი. დიდი წამება გამოვიარე, მაგრამ რაკი ჰოსპიტალში მოვხვდი, თავს ბედნიერად ვთვლიდი. ისე კი... რა არის ხოლმე შემთხვევა! ჰოსპიტლის ევაკუაციის ოროს პირველ მატარებელს ჩამოვრჩი. მერე ვამოირკვა, რომ იგი საკვებით განადგურებულიყო...

ტანკგამანადგურებელი დივიზიონი, რომელსაც ა. ხარატიშვილი მეთაურობს თერგის ნაპირებთან ჩაება ბრძოლაში. აქედან იწყება შესანიშნავი ბრძოლის გზა ქართველ მეომართა იმ ნაწილისა, რომელსაც შემდეგ ტამანის სახელწოდება მიენიჭა.

— პირველ ხანებში ერთობ მძიმე პირობებში გვიხდებოდა ბრძოლა, — გვიამბობს მაიორი. — ახლა ძნელი წარმოსადგენია ის მკაცრი ქარტეხილი, რომელიც ჩვენ გამოვიარეთ თერგის ნაპირებიდან ტამანის ნახევარკუნძულამდე. სამაგიეროდ ჩვენი მეომრები ამ მწვავე ბრძოლაში გაკაჟდნენ, დიდი გამოცდილება შეიძინეს.

ერთხელ, ეს იყო ტამანისათვის ბრძოლის დროს, უსახელო მაღლობი უნდა იგვეღო. ფერდობზე ასასვლელი გზები მცელავი ცეცხლით იყო გადაღობილი. მიუხედავად ამისა, მებრძოლებმა 12 კილომეტრზე ხელით ატარეს ქვემეხები, მოხერხებულ ადგილზე განლაგდნენ და გაანადგურეს მტრის საცეცხლე წერტები და ცოცხალი ძალა. ბრძოლაში დაეჭრა ქვემეხის მეთაური, უფროსი სერჟანტი გაფრინდაშვილი, მაგრამ იგი მაინც განაგრძობდა ქვემეხის ხელმძღვანელობას და მთელი დღის განმავლობაში ცეცხლი არ შეუწყვეტია. გაფრინდაშვილის ქვემეხმა ამ დღეს ჰოსპო მტრის სამი ჯავშანტრანსპორტიორი და მრავალი სატყვიამფრქვევო წერტი. ბრძოლაში თავი ისახელეს აგრეთვე კაპიტან დაშნიანისა და უფროს ლეიტენანტ არჩილ ბერუჩავის ბატარეებმა.

ქერჩში ჩემი დივიზიონი მხარს უჭერდა გვარდიულ დივიზიას. აქ ჩვენმა ბატარეებმა მტრის მრავალი საცეცხლე წერტი გაანადგურეს. ჩვენ ხშირად ქვემეხები ღია პოზიციაზე გამოგვქონდა და მტერს პირდაპირი დამიზნებით ვსპობდით.

თებერვლის ერთ დღეს, მეტად სასტიკ ამინდში, მივიღეთ ბრძანება განვლაგებულიყავით ორ მაღლობს შუა უსახელო გორაზე. იმ უბანში მტრის ძლიერი ცეცხლი ერთი წუთითაც არ სწყდებოდა. მაგრამ დივიზიონმა ღამით მაინც მოახერხა მითითებულ ადგილზე მისვლა. გათენებისას დაიწყო შეტევა. გვარდიელებმა შეუპოვარი იერიშით დაიკავეს მაღლობი. შემდეგ იქ იყო ჩემი სათვალთვალო პუნქტი.

მიიწურა ზამთარი. ჩვენ მზად ვიყავით გადამწყვეტი იერიშისათვის. დივიზიონის ქვემეხები მტრის პირისპირ 300-400 მეტრზე იყო განლაგებული. ოდნავ ინათა, გაისმა საიერიშო ბრძანება, და ყველა ქვემეხმა ერთბაშად იგრიალა... ჩვენს უბანში პირველად პოდპოლკოვნიკ გორგიშვილის ქვეითები დაწინაურდნენ, მოწინააღმდეგის ტრანშეებში შეიჭრნენ და მტერს მუსრი გაავლეს.

გერმანელები უკუიქცნენ. დივიზიონს ებრძანა — მტერს დადევნებოდა. მოგვცეს საღესანტო ჯგუფი, ერთ ბატალიონამდე მეავტომატენი, რამდენჯერმე დავიწიეთ გაქცეულ ფაშისტებს, ველიტეთ და ტყვეებიც ბევრი წამოვიყვანეთ. ქართველმა მეომრებმა ფრთეები შეისხეს, ძალლონე გაიოოკეცეს და შური იძიეს ჩვენი ძმებისათვის, რომელნიც ყირიმში მგრულად დაეცნენ.

* * *

ჩ მაისს სევასტოპოლის მისადგომებთან დივიზიონი რომ ბრძოლაში ჩაება, ამ ამბავს ასე მოგვითხრობს უფროსი ლეიტენანტი ი. კეზერაშვილი:

— 12 ქვემეხი ლარიოვით გაბმული იდგა მწვანე ჯეჯილში. მებრძოლებმა ღამის სიბნელეში მოგორეს ისინი ქვეითთა საბრძოლო განლაგებაში და საცეცხლე პოზიცია დაიკავეს.

მაიორმა ხარატიშვილმა ბატარეის მეთაურებს ამოცანა დაუსახა, სროლის დაწყების დრო დაუნიშნა და სიგნალი აცნობა.

ღილის 9 საათი იყო. შეტევის დაწყების ნიშანი მისცეს. წამიც და... ირგვლივ გორაკებიდან, ხევებიდან, ტაფობებიდან გამაყრუებელი გრიალი გაისმა, — ეს იყო საარტილერიო იერიში მტრის თავდაცვის გასარღვევად.

ხარატიშვილის არტილერისტები ღია პოზიციებიდან 400-500 მეტრზე პირდაპირი დამიზნებით უშენდნენ გერმანელებს.

კაპიტან აკაკი დაშნიანის ბატარეის ებრძანა მოესპო მოწინააღმდეგის პირველ ტრანშეაში განლაგებული ოთხი საცეცხლე წერტი, რომლებიც ხელს უშლიდნენ ჩვენი ქვეითების წინსვლას.

საარტილერიო იერიშის პირველსავე ათ წუთში უფროსი სერჟანტების საგანელიძისა და ფიჩხნარიშვილის ქვემეხთა ზუსტად ნასროლმა ყუმბარებმა ჰაერში გაფანტეს მტრის ორი საცეცხლე წერტის ნამსხვრევები. ამის შემდეგ დანარჩენ ორ საცეცხლე წერტს აუტეხეს სროლა, ხოლო როცა ეს უკანასკნელიც გაანადგურეს, მაშინ თავიანთი ქვემეხების ცეცხლი სანგრებში ჩამალულ ფაშისტ ჯარისკაცებს, და ოფიცრებს დაუშინეს.

საარტილერიო მომზადების პირველი ეტაპი დასასრულს უახლოვდებოდა, რომ დაშნიანის ქვემეხთა განლაგების უბანში ზედიზედ გასკდა მტრის მიერ გამოსროლილი რამდენიმე ყუმბარა. დაშნიანმა და მეთვალთვალეებმა სწრაფად აღმოაჩინეს ჰიტლერელთა კიდევ ორი ქვემეხი, რომლებიც პირველი ტრანშეის უკან იდგნენ დაბლობში. მიზანი სწრაფად დაუზუსტეს და ხუთ წუთში გაანადგურეს მტრის ქვემეხები.

ამ დღეს ბრძოლაში თავი ისახელეს აგრეთვე უფროს ლეიტენანტ თეიმურაზ გამცემლიძისა და ლეიტენანტ ალექსანდრე კანჯარიას მებრძოლებმა.

საათნახევრის განმავლობაში ხარატიშვილის არტილერისტებმა ერთ უბანზე გაარღვიეს მტრის ძლიერი თავდაცვის ხაზი და ჩვენს ქვეითებს გზა გაუხსნეს.

* * *

— ამოცანა მეტად რთული იყო, — გვიამბობს მაიორი ხარატიშვილი. — ჩვენებმა სოფელი დაიკავეს. დივიზიონს ებრძანა — საპუნ-გორაზე ასულიყო. ჩვენ პირდაპირ ცეცხლში უნდა გაგვევლო. მარცხენა მთა, რომელიც სევასტოპოლისაკენ მიმავალ გზას ჭეტავდა, გერმანელებს ეკავათ. აქ ტყვიის ნიაღვარი მოდიოდა. ჩვენ კი ქვემეხები კლდეზან მთაზე უნდა აგვეტანა.

განთიადი მოახლოვდა. ამოცანა ვერ სრულდებოდა. რას იზამ, ისევ რისკი უნდა გასწიო. შოფერებს ეუბრძანე ერთ-ერთ გამოფარ ადგილზე შეჭრილიყვნენ. ელვასავით მოსწყდნენ ისინი ადგილს და წამსვე საპუნ-გორაზე გაჩნდნენ. ძეომრებმა სანგრები გასჭრეს და ქვემეხები შეაბამეს.

ირიერაკა. მტერს გრიგალისებური ცეცხლი დაეშენეთ. ჩვენები უმნიშვნელო დანაკლისით გერმანელთა ბანაკში შეიჭრნენ. მტერი პანიკამ მოიცვა. დივიზიონი წინ მიიწევს.

სევასტოპოლი ალებულია. ბერსონესის ყურეში მომწყვდეული ფაშისტები ოთხდღე მანაც არ ჰყრიან, ბრძოლას განაგრძობენ და თანაც გემებს ელოდებიან.

მზე ჩავიდა. ზღვის ზეკიდან დავყურებთ. აგერ მტრის ერთი კატერი ნაპირს მოადგა. ჯერმანელები სწრაფად ადიან ზედ, სამზღვრო ქონებაც აიკვეთ.

ბატარეის მეთაური მეკითხება:

— ვესროლოთ?

— არა. ჯერ დაიცადეთ.

ფუტურო ჯირკვ ჰიანშვილები რომ შეესვიან, ისე დაიხუნძა კატერი. დაუსჯელად ამირებენ წასვლას.

— ცეცხლი!

ერთხმად იგრიალეს ქვემეხებმა. კატერს ალი მოედო. სამ-ოთხ წუთს იტრიალა და ნელნელა იწყო ჩაძირვა.

* * *

მაიორ ხარატიშვილის დივიზიონს სახელი ბრძოლაში გამომრძმედალმა ვაჟკაცებმა მოუხვეჭეს. ეი თუნდაც უფროსი სერჟანტი გიორგი საგანელიძე. იგი 29 წლის ჭაბუკია, თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი დამთავრებული. ომის დაწყებამდე ვაჭრობის სახალხო კომისარიატში მუშაობდა. შემდეგ კი სად არ უბრძოლნია, — ბესარაბია, ოდესა, ზაპოროჟიე, სტალინო... ბევრჯერ ყოფილა ხელჩართულ ბრძოლაში, ალყაც არაერთგზის გაუტეხია. ბოლოს თეძოში დაიჭრა. მეთაურმა გლეხის, კოჯზარის ოჯახში მიიყვანა. ქვეგანაყოფმა გარემოცვა თავი დაანებეთ. ის კი კოჯზარის ოჯახში ჩარჩა. ორთვენახევრის სიარული არ შეეძლო. მოხუცი ქალი, სამი წითელარმიელის დედა უვლიდა. კოჯზარი კომუნისტი იყო და ქართველი მეომარი დოლოტინის პარტიზანულ რაზმში მიყვანა. 1942 წლის ოგვისტომდე იგი პარტიზანებთან ერთად იბრძოდა. ბოლო ხანებს რომ შეუერთდნენ, საზღვარი ბრიგადაში გაგზავნეს. მონაწილეობდა ბრძოლაში ტემრიუკის მისადგომებთან. აქედან ქართულ ნაწილში გაიწვიეს. მას შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს გმირი წითელი არმიის მამაც არტილერისტებს!

ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის

ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის მებრძოლები და ოფიცრები სამართლიანად ითვლებიან წითელი არმიის უაღრესად მტკიცე და მამაც მეომრებად. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლებში მათ თავიანთი უდიდესი წვლილი შეიტანეს. ამის დამადასტურებელი მრავალი ფაქტიდან მინდა მოვიყვანო ბრძოლის ერთი ეპიზოდი.

როდესაც 1943 წლის ზაფხულზე ბელგოროდ-კურსკის რაიონში ჩვენი თავდაცვის ხაზის გასარღვევად დაიძრა გერმანელთა ტანკების და თვითმავალი ქვემეხების უზარმაზარი ტალღა, გვარდიის ოფიცერ შუკაკიძის ტანკსაწინააღმდეგო არტილერიას მინდობილი ჰქონდა ჩვენი თავდაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანი.

გათენებისას გერმანელთა თვითმფრინავებმა ლითონის ნიაღვარი დააყარეს შუკაკიძის უბანს. ბომბდამშენები ეშვებოდნენ პიკირებით, ავიაგამანადგურებლები მიწის ყოველ მტკაველს უშენდნენ ტყვიამფრქვევების ცეცხლს. ჰაერში მძლავრი საჰაერო ბრძოლები ჩაღდებოდა. ჩვენი მფრინავების მიერ განადგურებული მტრის ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავები ეცემოდნენ ძირს.

შუადღისას ჰორიზონტზე გამოჩნდა გერმანელთა ტანკების ჯგუფი. გერმანელებს უნდოდათ გამოეწვიათ ჩვენი არტილერიის სროლა და ამით გაეგოთ ჩვენი ადგილსამყოფელი და ძალები. მაგრამ არტილერისტები სდუმდნენ. როცა მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა და მისი სხივები ჩვენს მემიზნეებს პირდაპირ თვალებში სცემდნენ, გაისმა საშინელი გრიალი. ეს იყო გერმანელთა ტანკების ქვემეხების ზალპი. რამდენიმე ათეული ტანკი საშინელ სიჩქარეთ მოდიოდა პირდაპირ შუკაკიძის პოზიციებისაკენ. ისინი ისროდნენ ქვემეხებს და ტყვიამფრქვევებს, ხოლო მათზე მსჯდომი გერმანელი მედესანტეები — ავტომატებს. შუკაკიძემ გასცა ბრძანება და აგრიალდნენ ჩვენი ქვემეხებიც. გაჩაღდა ცხარე ბრძოლა. ფაშისტთა ბევრ ტანკს ცეცხლი წაეკიდა, ბევრიც ნაღმებზე აფეთქდა, მაგრამ სხვები მაინც მოდიოდნენ და მოდიოდნენ. ყველაფერი ზანზარებდა. არტილერიის კანონადა ხან თითქოს მიწყნარდებოდა, მაგრამ წამის შემდეგ ისევ ძალით დაიგრიალებდა. შუკაკიძე ლომივით ტრიალებდა თავის არტილერისტებში. ის ჩნდებოდა იქ, სადაც ადამიანებს თითქოს უკვე ძალა უნდა გამოლეოდათ. მაგრამ გამხნევება არავის არ სჭირდებოდა. მებრძოლები და ოფიცრები სიძაბვის, სამხედრო ოსტატობისა და მამაცობის საასწაულს სჩადიოდნენ. სამშობლოს და დიდი სტალინის სახელით ისინი ზედიზედ უგზავნიდნენ ჯავარვარებულ ლითონს ჯავშნიან მანქანებს, რომლებიც თითქმის ზედ პოზიციებს მოადგნენ.

ღამდებოდა. გერმანელებს გამოჰყავდათ ახალ-ახალი ძალები, ზედი-ზედ მოჰქონდათ იერიშები, მუხლუხებით სრესდნენ თავიანთი ჯარისკაცებისა და ოფიცრების გვამებს, ცდილობდნენ გაეტეხათ ჩვენი წინააღმდეგობა. მაგრამ შუკაკიძე და მისი არტილერისტები მტკიცედ იდგნენ. როდესაც გვარდიის უმცროს ლეიტენანტ მუხამედიანოვის ბატარეა გამოყვანილ იქნა მწყობრიდან, მან თა მისმა მებრძოლებმა — ლობჟანიძემ, მალიხმა და სხვებმა აიღეს ტანკსაწინააღმდეგო გრანატები, ცეცხლწამკიდი ბოთლები და შეძახილებით „სამშობლოსათვის“, „სტალინისათვის“ გადაეშვნენ უმაგალითო და უთანასწორო ბრძოლაში ჯავშნიან ურჩხულებთან. მათ ცეცხლი წაუკიდეს კიდევ ორ ტანკს.

ღამდება. ბრძოლის ველზე აღარ დარჩენილიყო არც ერთი მოძრავი ტანკი, არც ერთი გერმანელი. არემარეს ანათებდა მხოლოდ მტრის ცეცხლმოკიდებული ტანკების გავარვარებული ლითონი. ცაზე სწვდებოდა წითლად შეღებილი კვამლის სვეტები...

ნაშუალამევს ჩვენი ჯარები კონტრშეტევაზე გადავიდნენ. დაძრნენ დასავლეთისაკენ ჩვენი ტანკები, რომლებზეც ელვარებდა წარწერები: „ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის!“, „დიდი სტალინისათვის!“. ისინი მიჰქროდნენ დასავლეთისაკენ და მიჰქონდათ სიკვდილი გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისათვის.

ამჟამად ოფიცერი შუკაკიძე და მისი არტილერისტები გერმანელ ფაშისტებს მათსავე ტერიტორიაზე — აღმოსავლეთ პრუსიაში ანადგურებენ.

საბჭოთა კავშირის გმირი
გვარდიის მაიორი გ. გოცირიძე

ისინი ლენინგრადს იცავდნენ

(ფერილი ფრონტიდან)

ლენინის ქალაქის გმირულ დაცვაში მამაცობა გამოიჩინა ნ ქვედანაყოფმა, რომელსაც მეთაურობს გვარდიის მაიორი დ. ბერიძე. მაიორ ბერიძის ქვედანაყოფი მძიმე არტილერიით გზას უმზადებდა ქვეითს ჯარს შეტევისათვის, ანადგურებდა მტრის ტიქნიკას, სანგრებსა და ბლინდაჟებს. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ გვარდიელი წითელდროშოვანი არტილერისტები გვარდიის უფროსი სერჟანტი გ. თოდაძე, რომელიც ათეულს მეთაურობდა, გვარდიის სერჟანტი ა. ნადირაძე, მზვერავი ვ. ცეცხლაძე, გვარდიელები ა. ჭელიძე, შ. ხვედელიძე, ბ. გოგაშელი, შ. მაკარაშვილი, გ. აბესაძე, მაღლაკელიძე და სხვები. ისინი მამაცობისათვის დაჯილდოებული არიან ორდენებითა და მედლებით. მამაც ქართველ მეომრებს მკერდს უმშვენებს „ლენინგრადის დაცვისათვის“.

ჩვენს ქვედანაყოფს უმაღლესმა მთავარსარდალმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა ამხანაგმა სტალინმა მიანიჭა „ლენინგრადის“ სახელწოდება. თვითეულ მეომარი აღფრთოვანებულია ამ მაღალი შეფასებით და მზად არის მტრის სრული განადგურებისათვის საბრძოლველად.

შ. ე. აბაშიძე

თბილისის საარტილერიო სასწავლებელი. სურათზე: სასწავლებლის კურსანტი საბჭოთა კავშირის გმირი გ. აბიზოვი ესაუბრება კურსანტ ოთარ ლესელიძეს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ვლადიმერ ბარნაბიშვილის დღიურიდან

ქვემოთ მოგვყავს ამონაწერები ახალგაზრდა არტილერისტ ლეიტენანტ ვლადიმერ გიორგის-ძე ბარნაბიშვილის დღიურიდან. ბარნაბიშვილი 19 წლისაა, სამამულო ომის ფრონტზე საბრძოლო ნათლობა მიიღო მხოლოდ ოთხი თვის წინათ, მაგრამ ამ მოკლე ხნის მანძილზე მრავალ მძაფრ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა, გამოიჩინა თავი როგორც მამაცმა, უნარიანმა ოფიცერმა და გმირული ბრძოლისათვის დაიმსახურა სამამულო ომის II ხარისხის, წითელი ვარსკვლავისა და ალექსანდრე ნევსკის ორდენები.

• • •

„18.VII. დღეს პირველად მივიღე მონაწილეობა დიდ ოპერაციაში. ამ დრომდე ვაწარმოებდით კანტიკუნტ სროლას. დღეს დილით დაიწყო შეტევა. დილის 4 საათზე დავიწყეთ საარტილერიო მომზადება. ძნელი წარმოსადგენია, რა სანახაობაა ჩვენი ქვემეხების ცეცხლი. ცა და მიწა იძვროდა, განუწყვეტელი გრიალი მიდამოს აყრუებდა. ქვემეხები გახურდა. ბოლოს დაიძრნენ ჩვენი ტანკებიც და მათ მიჰყვა ქვეითი ჯარი. დღის პირველ საათზე ჩვენც დავძარით ქვემეხები საცეცხლე პოზიციებიდან და გავედით მტრისაგან უკვე გაწმენდილ ტერიტორიაზე. აქ ვნახეთ ჩვენი სროლის შედეგები. მტრის საცეცხლე სისტემა თითქმის მთლიანად იყო გაჩოყვანილი მწყობრიდან. მტერი პანიკით გარბოდა.

19.VII. ჩემს წინ მდინარე ბუგი. მალე გადავლახავთ მას და გადავალთ სახელმწიფო საზღვარზე.

გუშინ ბრძოლის დროს ველზე ვნახე გონებადაკარგული მებრძოლი. დაჭრილი იყო თავში და ხელ-ფეხში. ხელით გავიყვანე ბრძოლის ველიდან და გადავეცი სანიტრებს. იგი გამოდგა ქუთაისელი ჯანჯღავა.

30.VII. სახელმწიფო საზღვარზე გადავედით 21 ივლისს. მეტად მძაფრი ბრძოლებია.

ახლა საზღვრიდან უკვე 20 კილომეტრზე ვართ პოლონეთის ტერიტორიაზე. მოსახლეობა სიხარულით გვხვდება. მალე მოგველის ევროპაში ყველაზე ფართო მდინარე ვისლაზე გადასვლა. ეს არც ისე ადვილია. უკანასკნელ დღეებში გამუდმებით წვიმს. გზები გაუვალი გახდა, მდინარე ადიდდა. ხიდები არ არის. ტივებით უნდა გადავიდეთ. გაღმა უკვე არიან ჩვენი ნაწილები და მაგრად ურტყამენ გერმანელებს.

10.VIII. ვისლის გადალახვის შემდეგ ვეწევით ცხარე ბრძოლებს პლაცდარმის გაფართოებისათვის. ძველ მეომრებსაც არ ახსოვთ ასეთი ბრძოლები. მტერმა დიდი ძალები მოაყარა ჩვენს უბანს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩავვარდი გუშინ. ჩემი არტილერია დახტრულ პოზიციაზე იდგა. მე წინ წავედი და სამეთაურო პუნქტი მტრის პოზიციების მახლობლად მოვაწყე. გათენებისას ტყიდან გამოეღწიენ მტრის ტანკები და „ფერდინანდები“ და პირდაპირ ჩემკენ გამოემართნენ. ტანკებს მოსდევდნენ ქვეითები. 8 ტანკი ჩემს სამეთაურო პუნქტს 60-70 მეტრის მანძილზე მოუახლოვდა და ჩემს ბლინდაჟს დაუშინა. მდგომარეობა კრიტიკული შეიქნა. ჩემთან იყო მხოლოდ ორი ტელეფონისტი. მაშინ გამოვიწვიე ჩემკენ ჩემი ბატარეის ცეცხლი. დარწმუნებული ვიყავი ჩემი არტილერისტების სიზუსტეში. 10 წუთის განმავლობაში ვიყავი ცეცხლქვეშ. ხანდახან ცივი ოფლიც დამასხამდა. ზედიზედ აფეთქდა 2 „ფერდინანდი“. დანარჩენები ჯერ გაჩერდნენ, შემდეგ უკან გაბრუნდნენ.

საღამოს ჩემთან მოვიდნენ ჩემი ქვემეხები და, როდესაც გერმანელებმა კიდევ სცადეს იერიშზე გადმოსვლა, გავუნადგურეთ კიდევ ერთი ტანკი, 2 დიდყალიბიანი ტყვიამფრქვევი და 420 ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამ ბრძოლისათვის მივიღე ალექსანდრე ნევსკის ორდენი“.

გიორგი ლორთქიფანიძე

გვარდიის კაპიტან გიორგი კონსტანტინესძე ლორთქიფანიძეს მკერდს უმშვენებს წითელი დროშის, სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის ორდენები და მედალი „სტალინგრადის დაცვისათვის“.

კაპიტან ლორთქიფანიძის ბრძოლა ცხოვრების ერთი დღის შესახებ გაზეთ „გუდოკში“ მოგვითხრობს მიხეილ მაკაევი:

კაპიტანი მიწურში იჯდა. ვოლგამ კარზე მოაკაკუნა.

— შემოდით. — ხმა გასცა ასეულის მეთაურმა. — მიწურში შემოვიდა მებრძოლი და მეთაურს გაზეთი გადასცა.

— აი, შეხედეთ ამხანაგო კაპიტანო, ეს თქვენი ნათესავი ხომ არ არის?

მეთაურმა დახედა გაზეთის ფურცელზე მოთავსებულ სურათს. გაიღიმა, გული სიხარულით აევსო, როცა სურათის ქვეშ ამოიკითხა: „ამიერ-კავკასიის რკინიგზის ლენინელი დისპეტჩერი კ. ლორთქიფანაძე“.

— ჩემო მეგობარო, — სიხარულით აღფრთოვანებულმა მიმართა მებრძოლს, — ეს მამაჩემია. 1939 წლიდან აღარ მინახავს. — კაპიტანი აღტაცებით კვლავ ჩაიცქერდა მოხეტი მამის სურათს. — ისევ ისეთია, მხოლოდ გამხდარა...

— სწორედ დღეს მივიღე მამის წერილი, — მცირე სიჩუმის შემდეგ განაგრძო კაპიტანმა. — მილოცავს მეორე ორდენის

მიღებას და მისურვებს ახლო მომავალში შინ გამარჯვებით დაბრუნებას.

მეორე დღეს განთიადისას დაიწყო შეტევა. გვარდიის კაპიტან გიორგი ლორთქიფანიძის ბატარეის გუნდი დღის განმავლობაში გამანადგურებელ ცეცხლს უშენდა ჰიტლერელებს. კაპიტანი ერყეველად იდგა სათვალთვალო პუნქტზე — წინა ხაზიდან 150 მეტრის მანძილზე. უცბად შეამჩნია 70-მდე გერმანელი ჯარისკაცი, რომლებიც სწრაფად ეშვებოდნენ მაღლობიდან და ღამობდნენ ფლანგიდან შემოვლას.

— თოფი — გასცა ბრძანება მეთაურმა. 9 გვარდიელმა ორტილერისტმა სწრაფად დაიკავა მოხერხებული ადგილი და ცეცხლი დაუშინა მტერს. ჰიტლერელები დაფრთხნენ, გაქცევა დაიჭრეს, მაგრამ ამაოდ, ისინი ერთიანად მოსპობილ იქნენ კაპიტან ლორთქიფანიძის მებრძოლთა ცეცხლით.

ლორთქიფანიძის მებრძოლებმა ასობით ჰიტლერელი მოსპეს და მრავალი ტანკი გაანადგურეს.

• • •

გ. კ. ლორთქიფანიძე დაიბადა 1919 წელს სოფელ ისრითში (ვანის რაიონი). ნიჭიერმა ძოსწავლემ 1937 წელს წარჩინებით დაამთავრა რკინიგზის საშუალო სკოლა და შემდეგ მუშაობდა სამტრედიის ძაფსაღებ ფაბრიკაში.

ვ. რუსია

კეჭრე ხარაიშვილი

სასახელო გზა განვლო სამამულო ომის ბრძოლებში გვარდიის კაპიტანმა პეტრე ედიშერის-ძე ხარაიშვილმა.

იგი დაიბადა 1918 წელს საჩხერის რაიონის სოფელ ნიგვზარაში. კორბოულის არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სასოფლო-სამეურნეო მუშფაკში, რომელიც დაამთავრა 1937 წელს.

1938 წლიდან პეტრე ხარაიშვილი წითელი არმიის რიგებშია, სწავლობს პოლკის სკოლაში, რომელსაც წარმატებით ამთავრებს და თავის ქვედანაყოფს უბრუნდება. შემდეგ მონაწილეობს დასავლეთ უკრაინის განთავისუფლებისა და თეთრფინელთა წინააღმდეგ ბრძოლებში.

დიდმა სამამულო ომმა მას ესტონეთში მოუსწრო. შემდეგ იგი თავისი ქვემეხებით ლენინგრადს იცავდა, 1942 წელს კი მტერს ანადგურებდა სტალინგრადთან. მარტო ერთ ღამეს, 1942 წლის 7 ნოემბერს, მისმა არტილერისტებმა 11-ჯერ გამოიცვალეს პოზიციები. იმ ღამეს ხარაიშვილის არტილერისტების მიერ განადგურებულ იქნა მტრის 3 ბატარეა და 300-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. შემდეგ ქვეითი ჯარი იერიშზე გადავიდა და მტერი განდევნა დაკავებული პოზიციებიდან. ეს იყო ქ. სტალინგრადის ქარხანა „კრასნი ოქტიაბრის“ რაიონში. ბრძოლებში უნარიანი მეთაურობისათვის პ. ხარაიშვილს კაპიტანის საბჭედრო წოდება მიენიჭა და ხაწილის არტილერიის უფროსად დაინიშნა.

გერმანელები სტალინგრადიდან ძოროს დასავლეთისაკენ იქნენ განდევნილნი. პეტრე ხარაიშვილი თავისი მებრძოლებით 1943 წლის ივლისში კურსკთან იბრძოდა, სადაც მისმა არტილერისტებმა მტრის რამდენიმე ათეული ტანკი და რამდენიმე ასეული ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სარდლობამ ხარაიშვილი სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.

გმირი წითელი არმია წინ მიიწევდა. პ. ხარაიშვილის არტილერისტები ვაჟკაცურად იბრძოდნენ უკრაინის დედაქალაქ კიევის განთავისუფლებისათვის. მეთაური პირადი მაგალითით აღფრთოვანებდა თავის მებრძოლებს. ზამაცობისა და გულადობისათვის იგი დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით.

შემდეგ პ. ე. ხარაიშვილი საბჭოთა ბელორუსიის განთავისუფლებისათვის იბრძოდა. მძიმური შეტაკებების დროს ერთხელ მისი ქვედანაყოფი გარემოცვაში მოხვდა. ჩვენმა მებრძოლებმა მტერს უდიდესი ზარალი მიაყენეს და გარემოცვიდან გამოვიდნენ.

გარდა წითელი დროშის და სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენისა, ხარაიშვილს მიღებული აქვს მედლები „მამაცობისათვის“ და „სტალინგრადის დაცვისათვის“.

შ. ნოზაძე

კარპაზეების მთებში

ჩვენს ნაწილში ყველა იცნობს ქართველ არტილერისტებს ქვემეხის მეთაურს გვარდიის უფროს სერჟანტ ა. ცაკაშვილს და არტილერიის ოცეულის მეთაურს გვარდიის ლეიტენანტ ი. ქანთარიას. ნოვოროსიისკთან დესანტის გადასხმის დროს ცაკაშვილმა 17 ყუმბარა გაისროლა და 13 მიზანს მოახვედრა. გაპილოვკაზე შეტევისას მან სამი ყუმბარა გაისროლა და მტრის 2 ტანკი დასწვა.

ამჟამად ქართველი ვაჟკაცები ა. ცაკაშვილი და ი. ქანთარია იბრძვიან კარპატების მთებში. ისინი პირდაპირი დამიზნებით სროლის ოსტატები არიან, იერიშით გადადიან მთიდან მთაზე, სპობენ მტრის ტექნიკას, ჟლეტენ ათობით გერმანელ ჯარისკაცსა და ოფიცერს.

გვარდიის ლეიტენანტი ქანთარია დაჯილდოებულია სამამულო ომის ორდენით და წითელი ვარსკვლავის ორდენით, უფროსი სერჟანტი ცაკაშვილი—დიდებია მე-2 და მე-3 ხარისხის ორდენებით, აგრეთვე მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.

გვარდიის ზემდეგი ს. დოლიძე

მოქმედი არმია.



დღეს სტალინის სახელობის სანაპირო ქუჩაზე, კარლ მარქსის ხიდთან, იხსნება საარტილერიო გამოფენა. სურათზე: გამოფენის ეკსპონატი—დიდი ხომალდავრის ჰაუბიცა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მომავალ ოფიცრებთან

სასწავლო მინდორს დაპყურებს ნოემბრის მზე. მინდორზე განლაგებულია სასწავლო ქვემეხები. აგერ კურსანტებმა გამოაგორეს სამთო ზარბაზანი. იწყება მეცადინეობა. დღეს სწავლობენ ზარბაზნის მატერიალურ ნაწილს.

თბილისის საარტილერიო სასწავლებლის კურსანტთა შორის ბევრია სამამულო ომის, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლების მონაწილე. ისინი ახლა მოვიდნენ აქ თანიანთი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, რათა შემდეგ უფრო ეფექტიანად ურტყან მტერს.

აქ სწავლობს საბჭოთა კავშირის გმირი გრიგოლ აბიზოვი, რომელიც ანადგურებდა ჰიტლერელებს სამხრეთის ფრონტზე, მელიტოპოლთან. აქ არის კურსანტი ლევან ორჯონიკიძე — სტალინგრადისათვის გმირული ბრძოლების მონაწილე, კურსანტი ონიშჩენკო, რომელიც მარჯვედ ურტყამდა მტერს კავკასიის მთების კალთებზე.

ორ საათს გრძელდება მატერიალური ნაწილის შესწავლა.

შესვენების დროს ბრძოლების მოგაწილე კურსანტები უამბობენ ახალგაზრდა ამხანაგებს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებზე, ჩვენი არტილერისტების გმირობასა და მამაცობაზე.

ქალაქ მელიტოპოლთან გერმანელებმა კონტრიერიშზე გამოიყვანეს ტანკების დიდი რაოდენობა. აბიზოვის ქვემეხი საფარში იყო. უცბად გამოჩნდა რამდენიმე მძიმე ტანკი, მარცხნიდან კი პირდაპირ მისი ქვემეხისაკენ მოემართებოდა ორი „ვეფხვი“. აბიზოვმა მოუშვა ისინი ახლოს და მერე პირდაპირი დამიზნებით დაარტყა. პირველივე გასროლით აფეთქდა წინა ტანკი. მეორე უკან გაბრუნდა. მაგრამ ახლა გამოჩნდა ჭადრაკულად დაწყობილი სატანკო კოლონა, რომელიც პირდაპირ მისი პოზიციისაკენ მოდიოდა. როცა გერმანელთა 53 ტანკი მიუახლოვდა ბატარიას, იგრიალა ჩვენი ქვემეხების ზალპებმა. პირადად აბიზოვმა 8 ტანკი გაანადგურა ამ ბრძოლაში.

შემდეგ, როცა უკვე ქალაქ მელიტოპოლში შეიჭრნენ და ქუჩებში ბრძოლები გაიმართა, აბიზოვმა გაანადგურა ერთი სამუალო ტანკი და თვითმავალი ქვემეხი „ფერდინანდი“. მელიტოპოლის ბრძოლებისათვის მას მიანიჭეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

სტალინგრადისათვის ბრძოლების მონაწილე ლევან ორჯონიკიძე საარტილერიო ქვედანაყოფის მზვერავი იყო. მეთაურმა მის ათეულს დავალება მისცა წასულიყო დასაზვერავად და გამოერკვია მტრის საცეცხლე წერტილები. ეს ადვილი საქმე როდი იყო. გერმანელებს წინ გუშაგები დაეყენებინათ. ჩვენი მზვერავები შეუმჩნევლად მიეპარნენ მათ და უხმაუროდ გაანადგურეს, შემდეგ აღნიშნეს რუკაზე საცეცხლე წერტილის ადგილმდებარეობა და უკან დაბრუნდნენ. გათენებისას ჩვენმა ქვემეხებმა მოსპეს მტრის აღნიშნული საცეცხლე წერტილები.

თბილისის საარტილერიო სასწავლებელში არიან ისეთი კურსანტებიც, რომლებიც ჯერ ბრძოლაში არ ყოფილან. ისინი ბეჯითად სწავლობენ საარტილერიო მეცნიერებას.

აქ სწავლობს გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის შვილი ოთარ ლესელიძე, რომლის ოცნებაა გახდეს ისეთივე შესანიშნავი არტილერისტი, როგორც მამამისი იყო. ეს ფრიადოსანია, უკვე მალე დაამთავრებს სასწავლებელს და ჩადგება არტილერისტ ოფიცერთა სახელოვან რიგებში.

— მე მოუთმენლად ველი ამ დღეს,—ამბობს იგი, — რათა პირისპირ შევხვდე საზიზღარ მტერს და ვაჩვენო მას ჩემი ქვეყანისა გამანადგურებელი ძალა.

როდესაც უყურებ იმ სიცოცხლით სავსე, ხალისიან ახალგაზრდებს, გაგიკვირ, რომ ჩვენი მამაცი არტილერისტი ოფიცრების ოჯახისათვის მზადდება ღირსეული შეესება.

ვლ. გინზბურგი

2.500 კილომეტრი ბრძოლით

ამ წერილს გწერთ ერთ-ერთი მოქმედი ქვედანაყოფის კომკავშირული ორგანიზაციის სახელით. ჩვენ გვსურს ვუამბოთ საქართველოს მშრომელებს, თუ როგორ იბრძვის სამამულო ომის ფრონტზე ქართველი არტილერისტი უფროსი სერჟანტი კომოთე სამსონის-ძე გოზალაშვილი.

სამამულო ომის დაწყებიდან ამხ. გოზალაშვილი ფრონტზეა. იგი იცავდა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვს, გაიარა სახელოვანი საბრძოლო გზა სტალინგრადიდან აღმოსავლეთ პრუსიამდე. მან ბრძოლებით განვლო 2.500 კილომეტრზე მეტი. თავისი მრისხანე ქვემეხით ის მუდამ მოწინავე ხაზზე იყო.

ამხ. გოზალაშვილი ქვემეხის მეთაურია. ერთხელ მის გუნდს დაეკისრა ამოცანა — ფლანგიდან შემოვლო მტრის მიერ დაკავებული პუნქტისათვის და იქიდან დაერტყა მისთვის. ამოცანის შესრულება ამხ. გოზალაშვილს მოუხდა მტრის ცეცხლქვეშ. მან გამოაგორა ქვემეხი და პირდაპირი დამიზნებით 350 მეტრიდან დაუშინა მტერს. ამ ბრძოლაში მისმა ქვემეხმა გაანადგურა მტრის 3 ტანკი, ჩაიჩუმა 4 ტყვიამფრქვევი და გაფლიტა 100-მდე ჰიტლერელი.

გერმანელებმა დასახლებულ პუნქტ გოლოვიჩში ოავი მოუყარეს დიდ ძალებს კონტრიერიშისათვის. ქვემეხის მეთაურმა გოზალაშვილმა პირდაპირი დამიზნებით დაიყარა მტერს ჰაუბიცის ცეცხლი. ჰიტლერელთა ოთხი ტანკი და ქვეითი ჯარი გამოემართა გოზალაშვილის საცეცხლე წერტილისაკენ. მამაცმა მეთაურმა სწრაფად მიაბრუნა მათკენ თავისი ჰაუბიცი და ესროლა ერთ-ერთ ტანკს, რომელიც ჰაერში აიტყორცნა. მტრის დანარჩენი ტანკები უკან გაბრუნდნენ.

ომის განმავლობაში გოზალაშვილმა თავისი ქვემეხით მოსპო ჰიტლერელთა 8 ტანკი, 3 ნაღმსატყორცნი ბატარეა, 19 ტყვიამფრქვევი, გაანადგურა რამდენიმე ასეული ფაშისტი, ტყვედ წამოიყვანა ასამდე გერმანელი ჯარისკაცი და ორი ოფიცერი.

ამხ. გოზალაშვილი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით, ორი მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ და მედლით „მოსკოვის დაცვისათვის“.

კომორგი ილინი

მოქმედი არმია.



თბილისის საარტილერიო სასწავლებელი. სურათზე: სასწავლებლის კურსანტები (მარცხნიდან მარჯვნივ) უკრაინელი ი. ონიშჩენკო, ქართველი ლ. ორჯონიკიძე და რუსი ვ. იუტინი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ამხანაგ სტალინის მოხსენებისადმი მიძღვნილი ფილმი

დოკუმენტალური ფილმების ცენტრალური სტუდიის წარმოებაში დამთავრდა სპეციალური ფილმი, რომელიც მიძღვნილია თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენებისადმი მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად 1944 წ. 6 ნოემბერს.

ფილმი იწყება ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვის, ჩვენებით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავის ზეიმის წინადღეს. შემდეგ მაყურებელი ხედავს კრემლის სასახლის დიდ დარბაზს, სადაც იკრიბებიან საზეიმო სხდომის მონაწილენი. აქ არიან იმათი წარმომადგენლები, ვინც ბრძოლაში მამაცობით და ზურგში თავდადებული შრომით სჯედდა მტერზე გამარჯვებას. დამსწრეთა შორის არიან საკავშირო ქ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სახალხო კომისრები, საბჭოთა კავშირის გმირები და სოციალისტური შრომის გმირები, წითელი არმიის მარშლები, გენერლები და ოფიცრები, პარტიული და საბჭოთა აქტივი, მრეწველობისა და ტრანსპორტის მეთაურები. სტახანოველები. ისმის კრემლის კურანტების ხმა, 19 საათია. პრეზიდიუმში გამოჩენდება ამხანაგი სტალინი, გარშემორტყმული თავისი მებრძოლი თანამოსაგრეებით. უკლებლივ ყველა დამსწრენი ფეხზე დგებიან. დიდხანს არ ცხრება მთელი დარბაზის აღფრთოვანებული ოვაცია, გაისმის მისალმებათა შეძახილები. კინოოპერატორის ობიექტივმა აღბეჭდა ეს დაუვიწყარი შეხვედრა.

ამხანაგი სტალინი იწყებს მოხსენებას. დარბაზში მყარდება დაძაბული სიჩუმე. დამსწრენი სულგანაბულნი იძაბენენ ბელადის ბრძნულ სიტყვას.

ეკრანზეა საბჭოთა უკრაინის დედაქალაქი კიევი. ნაჩვენებია მშრომელთა დეპუტატების კიევის საბჭოს საზეიმო სხდომა, რომლის მონაწილენიც რადიოთი ისმენენ ამხანაგ სტალინის მოხსენებას.

საბრძოლო ხომალდების ქვემო გემბანებზე, ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებში, ჩვენი ქვეყნის ქალაქებისა და სოფლების ქუჩებსა და მოედნებზე ხალხი რეპროდუქტორებთან შეკრებილა. მთელი ჩვენი ქვეყანა უდიდესი ყურადღებით ისმენს ამხანაგ სტალინის ისტორიულ მოხსენებას.

ფილმში სრულად აღბეჭდილია მთელი მოხსენება. მუსიკალურ ილუსტრაციად გამოყენებულია ჩაიკოვსკის „საზეიმო მარში". ფინალში სრულდება საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

დოკუმენტალური ფილმი 5 ნაწილისაგან შესდგება. სურათის რეჟისორია სტალინური პრემიის ლაურეატი ი. კოპალინი. უახლოეს დღეებში ფილმი მასობრივი ტირაჟით გამოდის. (საკდესი).

სამშობლოს დამცველთა ოჯახების დახმარების კვირეული

(საუბარი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კ. თარგამაძესთან)

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში დიდი წარმატებით მიმდინარეობს სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დახმარების კვირეული.

კვირეულის ჩატარებაში განსაკუთრებული აქტივობა გამოიჩინეს გორის რაიონის მშრომელებმა. წინასწარი ცნობებით იქ შეგროვებულია 100 ტონა მარცვლეული, 50 ტონა ბოსტნეული, 5 ტონა კარტოფილი და სხვა პროდუქტები.

გურჯაანის რაიონის მშრომელებმა 16 ნოემბრისათვის შეაგროვეს 44 ტონაზე მეტი ხორბალი და სიმინდი, 1,4 ტონა ლობიო, 1,800 კილოგრამი ხახვი, 309 კუბმეტრი შეშა, 86 ლიტრი ზეთი, 514 კილოგრამი მზესუმზირა, 150 კილოგრამი ბრინჯი, 150,321 მანეთი ფულად. კვირეულის პირველი დღეების განმავლობაში შეკეთებულია სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების 64 ბინა.

საგარეჯოს რაიონში თავიდანვე ენერგიულად მოჰკიდეს ხელი ფრონტელთა ოჯახების დახმარების კვირეულის ჩატარებას. წინასწარი ცნობებით აქ შეგროვებულია 41,750 კილოგრამი მარცვლეული, 58,500 მანეთი ფულად, 1,500 კილოგრამი ბოსტნეული, 600 კილოგრამი მატყული, 100 ლიტრი ზეთი, ავრთვე 30 ლობიო, კარტოფილი, ღვინო და ხრაყი. სოფელ გორგაწმინდის კოლმეურნეობა „განთიადის" წევრებმა ფრონტელთა ოჯახების დახმარების ფონდში შეიტანეს 2,600 კილოგრამი სიმინდი, 60 კილოგრამი ლობიო, 4,000 მანეთი ფულად.

ოფხაზეთის ასს რესპუბლიკაში წინასწარი ცნობებით 16 ნოემბრისათვის შეგროვებული ჰქონდათ 10 ტონა სიმინდი, 4,5 ტონა ლობიო, 1,7 ტონა კარტოფილი, 2,500 კუბმეტრი შეშა და 220 ათასი მანეთი ფული. შეკეთებულია სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების 47 ბინა.

ქარელის რაიონის მშრომელებს 15 ნოემბრის ცნობებით შეგროვებული ჰქონდათ 20 ტონა მარცვლეული, 2,882 კილოგრამი ლობიო, 1,962 კილოგრამი ხახვი, 50 კილოგრამი ყველი, 260 კილოგრამი კარტოფილი, 102 ქათამი, 7 ტონა ბოსტნეული, ერთი ტონა შაქარი, 49 კილოგრამი თხილი, 1,120 კილოგრამი ვაშლი, 600 ლიტრი ღვინო და არაყი, 30 სული მეწველი თხა და ცხვარი, რაც გაუნაწილებია ფრონტელთა იმ ოჯახებს, რომლებსაც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ. ბინები შეუკეთეს სამხედრო მოსამსახურეთა 45 ოჯახს.

ორჯონიკიძის (ხარაგოულის) რაიონში 15 ნოემბრის ცნობებით შეგროვებული აქვთ 23 ტონა სიმინდი, 3,900 კილოგრამი ლობიო, 3,400 კილოგრამი სოია, 1,600 კუბმეტრი შეშა. რაიონში შეკეთებულია სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების 67 ბინა.

სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დახმარების კვირეულის ჩატარებაში საოკეანესო მაჩვენებლები აქვთ ცაგერის, ბაშკირეთის, მახარაძის, ლანჩხუთის, ქუთაისის, წყალტუბოს და სხვა რაიონების მშრომელებს.

კვირეული შედარებით გვიან დაიწყეს ყაზბეგის, თიანეთის, დუშეთისა და ხაშურის რაიონებში. საჭიროა ამ რაიონებმა გამოასწორონ ის ნაკლოვანებანი, რაც კვირეულის დაგვიანებით დაწყებით არის გამოწვეული.

ჩვენი ქალაქის სახელოვან დამცველთა ოჯახების დახმარების ფონდისათვის შეგროვებული მარცვლეული, კარტოფილი, ბოსტნეული და სხვა პროდუქტები ზუსტად უნდა აღირიცხოს და შესანახად ჩაბარდეს „ზაგოტზერნოს". ცვლაშირის, კოსერვტრესტის და საქართველოს ხილბოსტნეულისა დამამზადებელი პუნქტების მიღება-ჩაბარების სპეციალური აქტებით.

კვირეულის ჩატარების შედეგად შეგროვებული პროდუქტები, სათბობი, სამრეწველო საქონელი და სხვ. მიეცემა სამხედრო მოსამსახურეთა იმ ოჯახებს, რომლებსაც განსაკუთრებით ისაჭიროებათ დახმარება. გაიცემა იწარმოებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების მიერ დამტკიცებული სიების მიხედვით.

საქართველოს ალკა თბილისის კომიზეზის პლენუმი

13 ნოემბერს შესდგა საქართველოს ალკა თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე პლენუმი, რომელმაც განიხილა ორი საკითხი:

1. კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის ანგარიში ჩატარებულ მუშაობაზე და 2. ორგანიზაციული საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. შენგელაიამ. მოხსენების გამო მგამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ნ. ლუზარაშვილმა (სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა), ლ. ბოიახჩევმა (სატრანსპორტო ინსტიტუტი), ს. პაპიანმა (კომკავშირის 26 კომისრის რაიკომის მდივანი), თ. დემეტრაძემ (26 კომისრის სახელობის ქარხანა), კ. ალმოევმა (ალინინის სახელობის ქარხანა), თ. გასვიანმა (მეთორმეტე სახელოსნო სასწავლებელი) და მატოიანმა.

პლენუმმა კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მიერ ჩატარებული მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად და დასახა ღონისძიებანი.

ამხ. ა. შენგელაია სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო განთავისუფლებულ იქნა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან. საქართველოს ალკა თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ა. ფარულავა, ხოლო მდივნად პროპაგანდისა და აგიტაციის დარგში — ამხ. მ. გოგიჩაიშვილი. პლენუმმა საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრთა შემადგენლობაში შეიყვანა კომკავშირის მოლოტოვის რაიკომის მდივანი ამხ. ე. გოგიაშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. ჩერქეზიამ და საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ბალავაძემ.

200 ტონა ბოსტნეული გეგმის გადამეტებით

თბილისის რაიონის კოლმეურნეობებმა 18 ნოემბრისათვის მთლიანად შეასრულეს სახელმწიფოსათვის ბოსტნეულისა და კარტოფილის ჩაბარების წლიური გეგმა. ჩაბარებულია 2,102 ტონა ბოსტნეული.

დიდი სტალინის საოქტომბრო მოხსენების პასუხად კოლმეურნეობებმა იკისრეს 1 დეკემბრისათვის გეგმის გადამეტებით სახელმწიფოსა ჩაბარონ 200 ტონა ბოსტნეული.

საშემოდგომო თესვა და მზრალად ხვნა კოლმეურნეობებში

(საქართველოს სსრ მიწასახკომის 15 ნოემბრის ცნობებით)

რაიონები	თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გეგმის შესრულება პროცენტობით	ძირალად ხვნის გეგმის შესრულება პროცენტობით	რაიონები	თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გეგმის შესრულება პროცენტობით	ძირალად ხვნის გეგმის შესრულება პროცენტობით
ქუთაისი	101,7		ქარელი	101,4	76,9
წყალტუბო	102,9		გორი	101,6	72,6
სამტრედია	100,0		კასპი	100,0	40,3
წულუკიძე	59,5		ბორჯომი	92,4	76,8
ვანი	41,0		წალკა	—	56,5
მაიაკოვსკი	24,7		დუშეთი	100,2	31,5
ზესტაფონი	103,2		თბილისი	100,1	65,4
ჩხარი	150,0		თიანეთი	102,0	60,0
ჭიათურა	92,3		გურჯაანი	75,8	15,9
საჩხერე	99,9		სიღნაღი	75,1	10,8
ორჯონიკიძე	107,3		წითელწყარო	85,2	29,8
ონი	101,2		თელავი	88,0	12,5
ამბროლაური	100,0		ყვარელი	90,4	39,6
ცაგერი	79,7		ლაგოდეხი	100,6	47,6
ქვემო სვანეთი	84,0		თბილისი	101,7	85,1
სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	95,9	92,7	მცხეთა	100,4	48,6
ახალქალაქი	110,0	83,8	ყარაია	94,0	26,8
ბოგდანოვკა	—	76,4	ბორჩალო	95,0	89,2
ახალციხე	94,6	76,6	ბოლნისი	100,0	25,9
ადიგენი	100,0	96,5	საგარეჯო	92,2	3,4
ასპინძა	104,1	142,1	ბაშკიჩეთი	85,8	13,5
ხაშური	100,2	99,9			

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91,800

საერთაშორისო მიმოხილვა

უცხოეთის პრესა განაგრძობს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 27-ე წლისთავზე ამხანაგ სტალინის მიერ გაკეთებული მოხსენების კომენტირებას. გაზეთები კვლავ და კვლავ მიმართავენ ამ შესანიშნავ დოკუმენტს, რომელშიც აღბეჭდილია საბჭოთა ადამიანების საგმირო საქმეები, მკაფიოდ გამოხატულია დემოკრატიული სახელმწიფოების ერთიანობა, რომელიც უფრო და უფრო მტკიცდება, მოცემულია თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ღრმა ანალიზი. საბჭოთა ხალხის ბელადის სიტყვებით მთელ მსოფლიოში გაისმა მოწოდება ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა კიდევ უფრო მეტად დარაზმვისაკენ, მათში ხაზგასმულია ჰიტლერული გერმანიის მაღე განადგურების მტკიცე რწმენა, ნაჩვენებია ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობიანობის დამყარების გზები.

ბევრი მიმოხილველი სამართლიანად განიხილავს წითელი არმიის განსაცვიფრებელ წარმატებებს, როგორც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგს. ინგლისური გაზეთი „მანჩესტერ გარდიანი" სწერს, რომ ენერგიამ, რომელმაც გამოსავალი ჰპოვა 1917 წლის ოქტომბრის დღეებში, „რუსეთი გადაქცია უდიდეს სახელმწიფოდ ევროპაში. სტალინის სიტყვა აღსავსეა ამ ძალის რწმენით და ამ მიღწევათა გამო სიამაყით". ამერიკული „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი" ახასიათებს საბჭოთა კავშირს როგორც დიდ სახელმწიფოს, „რომელსაც შეუძლია ილაპარაკოს და იმოქმედოს მსოფლიო ასპარეზზე არა მარტო მტკიცე რწმენით, არამედ თავისი, როგორც დიდი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შეგნებითაც". ზოგიერთი გაზეთი პირდაპირ აცხადებს, რომ სტალინურმა ხუთწლედებმა იხსნეს კაცობრიობა. თურქული გაზეთი „ლა ტიურკი" ამხანაგ სტალინს უწოდებს „ამ ომის ყველაზე უფრო დიდ პოლიტიკურ და სამხედრო ბელადს" და სწერს: „მარშალი სტალინი ლაპარაკობდა ხალხის ბელადის სიამაყით, რომელიც თავდადებულად და გმირულად იცავდა სამშობლოს მსოფლიოში ყველაზე უფრო ძლიერი და სამხედრო თვალსაზრისით ყველაზე უფრო მომზადებული საბჭოთა სახელმწიფოს მხრივ აგრესიის წინააღმდეგ. საბჭოთა ხალხის განსაცვიფრებელი წინააღმდეგობა და თავისი ტერიტორიიდან მტრის განდევნისას მის მიერ გამოჩენილი გმირობა ყოველგვარ ქებას აღემატება".

გაზეთები აღნიშნავენ, რომ ამ ომში წითელი არმიის მიერ მიღწეული წარმატებანი ნიშნავენ ფაშიზმის დამარცხებას, მოასწავებენ ახალი ისტორიული ხანის დაწყებას. ამასთან გაზეთები გამოსთქვამენ მაღლობას ამხანაგ სტალინისადმი დასაღლეთსა და სამხრეთში მოკავშირეთა საბრძოლო მოქმედების მაღალი შეფასებისათვის.

საზღვარგარეთ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ამხანაგ სტალინის სტატიებს მისი 7 ნოემბრის ბრძანებაში იმის შესახებ, რომ „წითელმა არმიამ და ჩვენი მოკავშირეების არმიებმა დაიკავეს საწყისი პოზიციები გერმანის სასიცოცხლო ცენტრების წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევისათვის". ამ განცხადებას განიხილავენ როგორც ყველაზე უფრო მრავალმნიშვნელოვანს, როგორც ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ მომავალი გენერალური ერიშის დადასტურებას. „მაღე ბერლინში ალომართება ჩვენი გამარჯვების დროშა", — სწერს ინგლისური გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი".

ჩვენი მოკავშირე ქვეყნების პრესა განსაკუთრებით ხაზს უსვამს საბჭოთა ხალხის ბელადის სიტყვებს გაურთიანებულ ერთი ფრონტის განმტკიცების შესახებ, იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების კავშირს საუფლოდ უდგეს არა შემთხვევითი და წარმავალი მოტივები, არამედ სასიცოცხლო მნიშვნელობისა და ხანგრძლივი ინტერესები. „იმედისა და რწმენის თბილმა სიო დაბერა მსოფლიოს, როცა გამოთქმულ იქნა ოტტიმისტური სიტყვები საბჭოთა კავშირის პოზიციის შესახებ ომის შემდეგ უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში". ამერიკის რადიოკომენტატორ ვანდერკეოკის ეს სიტყვები ყველაზე უკეთ გამოხატავენ ხალხთა ფართო მასების განწყობილებას. ისინი მოწმობენ იმ უდიდეს ინტერესს, რასაც მთელი მსოფლიოს ხალხები იჩენენ ამხანაგ სტალინის მოხსენებისადმი. იმ გაწაყეთრებულ მნიშვნელობას, რაც ამ მოხსენებას აქვს ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებისა და ომისშემდეგო-მი გარდაქმნისათვის.

* * *

ჰიტლერული გერმანიისათვის ამხანაგ სტალინის მოხსენება გაისმა როგორც ისტორიის მკაცრი და გარდუვალი განაჩენი. ფაშისტთა მეთაურებს ახლა ესმით, რომ ორი ფრონტის მარწუხში მომწყვდეული გერმანიისათვის გამოსავალი არ არსებობს, რომ მისი კატასტროფა გარდუვალია. მათ არ იციან, სად მოხდება მორიგი დარტყმა ფაშისტთა ბუნაგის წინააღმდეგ. მაგრამ მათ კარგად იციან, რომ ასეთი დარტყმები შორს აღარ არის, რომ აქ დარტყმების ძალა უფრო გაიზრდება. გერმანელ ხალხს სულ უფრო მეტად მოიცავს შიში, გარდუვალი დამარცხების პერსპექტივა სულ უფრო მეტად იპრეზი გერმანელთა შეგნებაში. იმ ხმაურით, რაც ჰიტლერელებმა ფოლსსტურმის შექმნის გარშემო ატეხეს, მათ სურთათ გაეუმჯობესებინათ განწყობილება გერმანიაში. ისინი გაჰყვიროდნენ ყოველ გზაჯვარედინზე, პრესასა და რადიოში, ახალი „ზეტოტალური" მობილიზაცია იხსნის ფაშისტურ გერმანიასო. მაგრამ ეს უკანასკნელი ღონისძიება მხოლოდ ჰიტლერელ მეთაურთა სასოწარკვეთას მოწმობს. ეს ღონისძიება ვერ იხსნის მათ.

ჰიტლერელები აბორიგიელებენ საყოველთაო მობილიზაციას ფრონტისათვის და ამავე დროს ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ისინი სრულიად არ არიან ისეთნი, როგორადაც მათ აქამდე სთვლიდნენ. „ომის დაწყებიდანვე, — სწერდა ამას წინათ გებელსი, — ჩვენ მხოლოდ ერთი მიზანი გვქონდა — დაგვეცვა ჩვენი სიცოცხლე და ჩვენი თავისუფლება... ჩვენ ომამდე და ომის დროს ყოველ მოხერხებულ შემთხვევაში გამოვდიოდით მშვიდობიანობის სასარგებლოდ". გებელსს ამ უდიდეს მატყუარას, სურს დაარწმუნოს მსოფლიო, რომ გერმანელები მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი ადამიანები არიან. მტაცებელი მხეცი, რომელმაც მთელი ევროპა სისხლით მორწყო, ბატკანად გვაჩვენებს თავს. მაგრამ ვერაფის მოატყუებს.

სიცრუის მინისტრი შემთხვევით როდი ალაპარაკდა ასეთი ხმით. თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ჯარების რკინის რკალი სულ უფრო მაგრად ეკვრის ფაშისტურ გერმანიას. სულ უფრო უიმედო ხდება ჰიტლერელი კაცუკაძეების მდგომარეობა. იტალიელთა წარმატებები ჰოლანდიაში ამ ბოლო ხანს. ამერიკელთა შეტევა მეცის სიმაგრის რაიონში. ჩაძირვა გერმანელთა ყველაზე უფრო ძლიერ, ამასთან უკანასკნელ სახაზო ხომალდ „ტირპიცისა", რომელიც 45 ათასი ტონა წყალწყვისა იყო, ყოველივე ეს აძლიერებს ისედაც მზარდ შიშს ფაშისტთა ბანაკში.

მაგრამ გერმანელთა შორის კიდევ უფრო სერიოზულ შეშფოთებას იწვევს მდგომარეობა აღმოსავლეთის ფრონტზე, სადაც წითელი არმია შეუპოვრად მიიწევს წინ უნგრეთის პლაცდარმის მხრიდან. გერმანელები შიშობენ არა მარტო ფრონტის ამ უბნის გამო.

მომავალი შურისძიების წინაშე გერმანელ დამპყრობთა დაბნეულობასა და შიშს მკაფიოდ მოწმობს ჰიტლერის უკანასკნელი მიმართვა გერმანელი ხალხისადმი მიუხედავს 9 ნოემბრის პუტჩის წლისთავთან დაკავშირებით. ჩვეულებრივად ამ დღეს ჰიტლერი ტრადიციული სიტყვით გამოდიოდა. მაგრამ დღესასწაული გადადებულ იქნა. იგი მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შესდგა. და ჰიტლერს სიტყვა მაინც არ წარმოუთქვამს. მიუნხენში ჰიტლერის სახელით მიმართვა ჰიმლერმა წაიკითხა. მუქარა „შინაგან ფრონტზე არსებული მტრების" მიმართ, იმათ მიმართ, ვინც „შიშის ფსიქოზს აერიელებს", მოწოდება „დაუნდობლად და გადაჭრით მოსპონ ყველა, ვინც კი აღმართავს მახვილს ან ამოქმედებს ბომბს"—ასეთია ამ აბნეული პროკლამაციის შინაარსი. დამფრთხალ ჰიტლერს სულ მუდამ ბომბები ელანდება. უცხოეთის პრესა ტყუილად როდი იუწყება, რომ უკანასკნელ ხახს ჰიტლერი ცხოვრობდა თავის ჯავშნიან ვაგონში და ისე ეშინოდა ძოკავშირეთა ავიაციის თავდასხმებისა, რომ ერთსა და იმავე ადგილას ორ დღეზე მეტხანს არ რჩებოდა. ღამით მისი მატარებელი ღრმა გვირაბში შედიოდა.

ჰიტლერს ხმები და საერაოდო მოსაზრებანი ჰიტლერის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. შვეიცარ გაზეთ „სტოკჰოლმს ტიდნინგენის" ცნობით, ბერლინში დაჟინებით ვრცელდება ხმები იმის შესახებ, რომ ჰიტლერი მოკვდა. რაც არ უნდა იმალებოდეს ამ ხმებს ისინი. ერთი რამ უეჭველია— ჰიტლერის მიმართვა" წარმოადგენს თავის ბუნაგში შემწყვდეულ ძტრის ველური გაბოროტებისა და შიშის დადასტურებას. მტრისა, რომელმაც შეიგნო, რომ მისი სიცოცხლის დღეები დათვლილია.

* * *

უკანასკნელი დროის მნიშვნელოვან მოგონებას წარმოადგენს პრეზიდენტის არჩევნები ამერიკის შეერთებულ შტატებში. დემოკრატიული პარტიის კანდიდატმა რუზველტმა მეოთხეჯერ გაიმარჯვა ამ არჩევნებში.

პრეზიდენტის პოსტი რუზველტმა პირველად 1932 წელს დაიკავა. რესპუბლიკელმა ჰუვერმა მაშინ დამარცხება განიცადა. 1936 წლის არჩევნებმა რუზველტს გამარჯვება მოუპოვეს ლენდონზე. 1940 წელს დამარცხდა უილკი, და რუზველტი კვლავ თავის პოსტზე დარჩა. ახლა ომის დღეებში ამერიკელმა ხალხმა კვლავ ნდობა გამოუცხადა მას. რუზველტის ეს წარმატებანი და რესპუბლიკური პარტიის დამარცხება შემთხვევითი როდია. ისინი მოწმობენ, რომ ამერიკელები მხარს უჭერენ იმ საგარეო პოლიტიკას, რომელსაც რუზველტი ატარებს. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალის პროცესში რეაქციონერებმა ყველა საშუალება გამოიყენეს, რათა სხვა პრეზიდენტი აერჩიათ, მათ ვერ შესძლეს ამის განხორციელება.

რუზველტის გამარჯვება კმაყოფილებით მიიღეს ყველა დემოკრატიულ ქვეყანებში. ამ გამარჯვებას აშკარა გაბრაზებით შეხვდნენ გერმანიაში.

* * *

უცხოეთის პრესა ამხანაგ სტალინს გამოსვლას და არჩევნებში რუზველტის გამარჯვებას ახასიათებს, როგორც ორ უმნიშვნელოვანეს მოვლენას, რომლებიც მოწმობენ გერმანიის ახალ დამარცხებებს. ჰიტლერული მეთაურები იმედს ამყარებდნენ განხეთქილებაზე მოკავშირეთა ბანაკში. ამხანაგ სტალინის გამოსვლამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავის წინადღით საბოლოოდ ჩაფუშა ეს ვარაუდი. მათ რჩებოდათ რუზველტის დამარცხების იმედი. მაშასადამე, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის შეცვლის იმედი. მაგრამ ახლა ეს იმედიც ჩაიფუშა.

ჰიტლერელებს სავსებით შეგნებული აქვთ ის, რომ გამარჯვება თავისუფლებისმოყვარე ხალხების ხელთ არის. მაგრამ ისინი ცდილობენ გადასდონ თავიანთი განადგურების ღამი და წინააღმდეგობას განაგრძობენ. მაგრამ ისინი თავს ვერ დააღწევენ შურისძიებას.

ი. გლოტოვი

დეპეშები

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 18 ნოემბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

ჰოლანდიაში აღნიშნულია მოკავშირეთა ჯარების ახალი წარმატებანი მდინარე ძაასსაკენ წინსვლაში. მტერი საერთოდ უმნიშვნელო წინააღმდეგობას გვიწევს.

ჰაილენკირხენსა და ბლამონს შუა მდებარე რაიონში მოკავშირეთა ჯარები განაგრძობდნენ წინსვლას და სძლევდნენ მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას. მოკავშირეებმა დაიკავეს გრეხენხი 8 მილზე დიურენის (გერმანია) სამხრეთ-დასავლეთით.

ტიონვილის (საფრანგეთი) რაიონში მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

მოკავშირეთა ჯარებმა ბევრ პუნქტში წაიწიეს წინ. ბლომფსა და შეიდერლის ტბებს შუა მდ[illegible]

ლონდონი, 18 ნოემბერი. (საკდესი). საიტალიო ოპერაციების ხმლთამშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში, ქალაქ ფორლის დასავლეთით, მეკარმიის ნაწილებმა დაიკავეს მაღლობი მიტეფორტინო და მოიგერიეს მოწინააღმდეგის რამდენიმე კონტრიერიში. ფრონტის სხვა უბნებზე პატრულები მოქმედებდნენ. მოკავშირეთა მოწინავე პოზიციებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

მძიმე ბომბდამშენების დიდი შეიარაღებულ ავიაგამანადგურებელთა თანხლებით 17 ნოემბერს თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის სამხედრო ობიექტებს გერმანიაში, იტალიაში, ავსტრიაში, უნგრეთსა და ოუგოსლავიაში.

რუმინეთში შექმნა სსრ კავშირთან ურთიერთობის განმტკიცების საზოგადოება

ბუქარესტი, 18 ნოემბერი. (საკდესი). ბუქარესტის უნივერსიტეტის შენობაში ამ დღეებში შესდგა სსრ კავშირთან ურთიერთობის განმტკიცების საზოგადოების სორგანიზაციო კრება. კრებას დაესწრო პრაგალი პროფესორი, ექიმი, ინჟინერი, ადვოკატი, არქიტექტორი და რუმინეთის ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები. კრებამ აირჩია საზოგადოების დროებითი კომიტეტი პროფესორ პარხონის თავმჯდომარეობით. კომიტეტის შემადგენლობაში შეიყვანენ „პატრიოტთა კავშირის" ხელმძღვანელი და ეროვნებათა მინისტრი პროფესორი ვლადესკუ-რაკოსა და რუმინეთის სხვა გამოჩენილი მეცნიერები და პოლიტიკოსები.

ფაშისტური ტერორის მსხვერპლნი ბულგარეთში ბავშვობის პერიოდში

სოფია, 18 ნოემბერი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, რომ სოციალურ საქმეთა სამინისტროს ცნობებით, ბულგარეთის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა რიცხვი, რომლებიც ფაშისტური ტერორის მსხვერპლნი გახდნენ 1941 წლიდან 1944 წლის სექტემბრამდე, შეადგენს 30 ათასზე მეტ კაცს მოკლულთა და უკვალოდ დაკარგულთა სახით.

ინგლისელი გაზეთის კორესპონდენტი ჰოლანდიის მთავრობისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების შესახებ

ნიუ-იორკი, 18 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი, რომელიც მაასტრიხტში (ჰოლანდია) იმყოფება, იუწყება, რომ ამ რაიონის მოსახლეობა სრულიად უენტუზიაზმოდ ხვდება სამშობლოში ჰოლანდიის მთავრობის დაბრუნებას. მთავრობის პოპულარობა ეცემა, იმიტომ, რომ მთავრობის წარმომადგენელმა სამხედრო გუბერნატორმა დაითხოვა მერები, რომლებიც წამოაყენა წინააღმდეგობის მოძრაობამ და აღადგინა მერები, რომლებსაც ეკავათ ეს თანამდებობანი ომამდე, მაგ შორის ბელგიელი, რომელთაც ეს პოსტები ეკავათ გერმანელთა ოკუპაციის დროს.

წინააღმდეგობის მოძრაობის მოწაფლენი,— სწერს კორესპონდენტი,—ეკონომიური ცხოვრების უფრო მეტ დემორატიზაციას მოითხოვენ, ვიდრე ომამდე იყო.

ბულგარეთში შექმნა კომისარიატი დროებითი ზავის პირობების შესასრულებლად

სოფია, 18 ნოემბერი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შექმნილია სპეციალური კომისარიატი დროებითი ზავის პირობების შესასრულებლად.

„დამკვიცდა კანონპროექტი ინგლისის ნაციონალური უზრუნველყოფის სამინისტროს შექმნის შესახებ

ლონდონი, 18 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, ინგლისის მეფემ დამტკიცა კანონპროექტი ნაციონალური უზრუნველყოფის სამინისტროს შექმნის შესახებ (რომლისთვისაც თავდაპირველად აპირებდნენ ეწოდებინათ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო). ნაციონალური უზრუნველყოფის მინისტრად დანიშნულია ჯოუეტი.

მინის რეფორმა პოლონეთში

ლონდონი, 14 ნოემბერი. (საკდესი). ცნობილია, რომ ლუბლინელ პოლონელთა ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი ატარებს. საერთო-ნაციონალური ხასიათის მიღო, აამოძრავა პოლონეთის საზოგადოებრიობის ყველა ფენა გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ ტერიტორიაზე. ყოფაშვილის საფოფოდომა მიწის რეფორმა მალე დამთავრდება. გასანაწილებლად განკუთვნილი მთელი მიწის 88 პროცენტი უკვე განაწილებულია გლეხთა შორის. ლანცუცკის მაზრის შეძლეგ მიწის რეფორმა სავსებით დამთავრებულია ნისკოვსკის მაზრაშ. იაროსლავის მაზრის გლეხები ემზადებიან მოაწყონ ამ კვირაში თავიანთი დიდი სახალხო დღესასწაული, რომელიც დაკავშირებულია 65 ფოლვარკის განაწილების დამთავრებასთან და 10 ათასი ჰექტარი მიწის მიღებასთან. სულ ეკუშეის რაიონში მიწა მიიღო 13 ათასზე მეტმა კომლმა გლეხმა, ხოლო მთელ განთავისუფლებულ ტერიტორიაზე ნოემბრის დამდეგისათვის მიწა მიიღო 40 ათასზე მეტმა გლეხმა და სასოფლო-სამეურნეო მუშამ.

„მნათობი" № 7-8

დაიბეჭდა და გამოკიდა ჟურნალი „მნათობი" № 7-8 შემდეგი შინაარსით: **გრ. აბაშიძე** „ლექსები წიგნიდან „დროშები", **ა. პ. ჩეხოვი** „ორი მოთხრობა" (ოარგმანი ქ. შარაშიძისა), **ვ. გ